ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

CSI CSI
სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი
Civil Society Institute

Georgian Civil Society Sustainability Initiative
საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა

სახელმწიფო გრანტების მონიტორინგის სახელმძღვანელო

თბილისი 2017

Konrad Adenauer Stiftung
CSI CSI
CSRDG
ctc Empowering People for Change

სახელმწიფო გრანტების მონიტორინგის სახელმძღვანელო

**სახელმძღვანელო შექმნილია სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტისა
და მოწვეული ექსპერტების სამუშაო ჯგუფის მიერ.
სამუშაო ჯგუფი:
თეონა ტურაშვილი, გიორგი ლომთაძე, თენგიზ შერგელაშვილი,
ლევან ფანიაშვილი, ეკატერინე დანელია, ია გაბუნია.**

ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

CSI
სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი
Civil Society Institute

წინამდებარე სახელმძღვანელო შექმნილია „სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივის“ პროექტის ფარგლებში. პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის და გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს მიერ. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი და სახელმძღვანელოს შინაარსის ევროკავშირის ან გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს პოზიციად აღქმა დაუშვებელია.

This publication has been produced within the framework of the project “Georgian Civil Society Sustainable Initiative” supported by the European Union and the Federal Ministry for Economic Cooperation and Development. Its contents is the sole responsibility of CSI and can in no way be taken to reflect the views neither of the European Union nor the Federal Ministry for Economic Cooperation and Development.

The project is implemented by the Konrad-Adenauer-Stiftung e.V. Civil Society Institute,
Center for Strategic Research and Development of Georgia, Center for Training and Consultancy,
Kutaisi Education Development and Employment Center

Konrad Adenauer Stiftung

შინაარსი

ტერმინთა განმარტება **2**
1. შესავალი **3**
2. სამართლებრივი ჩარჩო **5**
2.1. რა უნდა ვიცოდეთ საჯარო ინსტიტუციის მიერ გრანტების გაცემის შესახებ? 5
2.2. რომელ საჯარო ინსტიტუციას შეუძლია გასცეს გრანტი? 6
2.3. ვინ შეიძლება იყოს გრანტის მიმღები? 7
2.4. რა უნდა ვიცოდეთ საქართველოს სამინისტროების მიერ გრანტების გაცემის შესაძლებლობის შესახებ? 7
2.5 რა უნდა ვიცოდეთ ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროების მიერ გრანტის გაცემის შესაძლებლობის შესახებ? 8
2.6. რა უნდა ვიცოდეთ სსიპ-ების მიერ გრანტების გაცემის შესაძლებლობის შესახებ? 9
2.7. გრანტის გაცემის მიზნობრიობა 9
2.8. შეიძლება თუ არა გრანტიების გაცემა სამეწარმეო მიზნების მისაღწევად? 10
2.9. გრანტის გაცემის სხვა საკანონმდებლო საფუძვლები 10
3. სახელმწიფო გრანტების გაცემის პრაქტიკა **12**
3.1. ბოლო წლების პრაქტიკის მიმოხილვა 12
3.2. გრანტების შესახებ ზოგადი მონაცემების განახლება 13
4. სახელმწიფო გრანტების მონიტორინგის ძირითადი ეტაპები **15**
4. 1. საჯარო ინსტიტუციების მიერ გასაცემი გრანტების დაგეგმვა 15
4.1.1. საგრანტო პროგრამების შექმნა 15
4.1.2. გრანტების გაცემის დაგეგმვა 17
4.2. საჯარო ინსტიტუციების მიერ გრანტების გაცემის პროცესი 19
4.2.1 ეტაპის ზოგადი აღწერა 19
4.2.2. გრანტის გამოცხადება 20
4.2.3. შემფასებელი ორგანოს (კომისია/საბჭო) ფორმირება 21
4.2.4. საკონკურსო განაცხადების შეფასება 21
4.2.5. საბოლოო გადაწყვეტილების მიღება გრანტების გაცემის შესახებ 22
4.2.6. გასაჩივრების შიდა მექანიზმი 22
4.3. საჯარო ინსტიტუციის მიერ გრანტების განხორციელების მონიტორინგი 24
4.3.1. გაცემული გრანტების განხორციელების შეფასება 24
4.3.2. საგრანტო პროგრამის და გრანტების ეფექტიანობის შეფასება 26
5. მეთოდები **29**
5.1. საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა 29
5.2. (ნახევრად სტრუქტურირებული) ინტერვიუ 33
5.3. ფოკუს-ჯგუფი 34
6. დანართები **36**
დანართი #1 (სამართლებრივი აქტების სია) 36

დანართი #2 (გრანტის გამცემი საქართველოს სამინისტროები (2017 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით)) 39
დანართი #3 (გრანტის გამცემი სსიპ-ები (2017 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით)) 42
დანართი #4 (საქართველოს სამინისტროებისა და სსიპ-ების მიერ, ა(ა)იპ-ებზე გაცემული გრანტები) 47
საქართველოს სამინისტროებისა და სსიპ-ების მიერ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებზე გაცემული გრანტების წლების მიხედვით 49
დანართი #5 (განცხადების ნიმუში -1) 51
დანართი #6 (განცხადების ნიმუში - 2) 52
დანართი #7 (გასაცემი გრანტების დაგეგმვის ეტაპი) 54
დანართი #8 (გრანტების გაცემის ეტაპი) 55
დანართი #9 (გრანტების მონიტორინგის და შეფასების ეტაპი) 56
დანართი #10 (ანგარიშის ფორმა) 57
დანართი #11 (მონიტორინგის საკონტროლო ნუსხა) 71

ტერმინთა განმარტება

ამ სახელმძღვანელოს მიზნებისთვის გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1. **გრანტი** - „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მნიშვნელობა.
2. **სახელმწიფო გრანტი** - გრანტი, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტის ან/და ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის სახსრების ფარგლებში გაიცა. გრანტის გასაცემად ასევე გამოიყენება არასაბიუჯეტო სახსრები, მაგალითად, დონორი ორგანიზაციიდან მიღებული სახსრები. თუმცა, ეს მეთოდოლოგია ფარავს, მხოლოდ საბიუჯეტო სახსრების ფარგლებში გაცემული საგრანტო დაფინანსების მონიტორინგის საკითხებს.
3. **საჯარო ინსტიტუცია** - საქართველოს სამინისტრო, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტრო, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ან მთავრობის/სამინისტროს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.
4. **საგრანტო პროგრამა** - გრანტის გამცემი საჯარო ინსტიტუციის მიერ შემუშვებული დოკუმენტი, რომელიც მოიცავს მონაცემებს საგრანტო თემის აქტუალურობის, მიზნების, მიმართულებების (პრიორიტეტების), შესრულების სავარაუდო ვადების და თანხების შესახებ. ამასთან, საგრანტო პროგრამა შეიძლება არსებობდეს სხვადასხვა სახელწოდებით, და მასში სხვადასხვა მოცულობით შეიძლება იყოს ასახული საგრანტო პროგრამასთან დაკავშირებული ინფორმაცია.
5. **საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ)** - კანონის ან სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით შექმნილი, საკანონმდებლო და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას.
6. **სამართლებრივი აქტი** - საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ან „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ნორმატიული ან/და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.
7. **ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი** - საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.
8. **ნორმატიული აქტი** - საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

1. შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო გრანტების მონიტორინგის მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოს, რომლის დანიშნულებაც არის საჯარო ინსტიტუციების მიერ საგრანტო დაფინანსების მონიტორინგის განმახორციელებელ პირს დაეხმაროს, სახელმწიფო გრანტების გაცემის პროცესის შესწავლსა და შესწავლის ანგარიშის შედგენაში.

საქართველოში საჯარო ინსტიტუციები კომპეტენციის სფეროების მიხედვით გასცემენ გრანტებს. დაფინანსების საგრანტო მექანიზმის გამოყენება ხდება კანონმდებლობით დადგენილი მიზნობრიობით, მიმართულებითა და კანონმდებლობითვე განსაზღვრული საჯარო ინსტიტუციის მიერ. ამასთან, კანონმდებლობა ითვალისწინებს საგამონაკლისო შემთხვევებს, როცა გრანტი შეიძლება გაიცეს სამეწარმეო სუბიექტებზე ან/და სამეწარმეო მიზნებისათვის.

ზოგიერთი საჯარო ინსტიტუცია, საგრანტო მექანიზმის გარდა, იყენებს დაფინანსების არასაგრანტო მექანიზმებს, რომელიც მოიცავს სუბსიდირებას ან/და სხვადასხვა საბიუჯეტო პროგრამის ფარგლებში საკონკურსო წესით დაფინანსების გაცემას. აღსანიშნავია, რომ დაფინანსების არასაგრანტო მექანიზმების მნიშვნელოვანი ნაწილი თავისი არსით და მიზნობრიობით, ჰგავს საგრანტო დაფინანებას.

საჯარო ინსტიტუციების მიერ გრანტის გაცემა ხდება სხვადასხვა სამართლებრივი აქტის საფუძველზე, რომელიც ერთმანეთისაგან განსხვავდება რეგულირების მოცულობისა და შინაარსის თვალსაზრისით. მნიშვნელოვანია პერიდოულად შემოწმდეს, ერთი მხრივ, რამდენად სრულად ხდება საგრანტო დაფინანსების გაცემის რეგულირება, ხოლო მეორე მხრივ, რამდენად ხდება არსებული რეგულაციების დაცვა გრანტის გამცემის მიერ. სწორედ ამ ძირითადი მიზნიდან გამომდინარე შეიქმნა სახელმწიფო გრანტების მონიტორინგის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო.

საჯარო ინსტიტუტებს გრანტის გაცემა შეუძლიათ შესაბამისი დონის ბიუჯეტის სახსრებიდან და დონორისგან მიღებული დაფინანსების ფარგლებში. ამ მეთოდოლოგიის ფოკუსი, შესაბამისად მონიტორინგის განმახორციელებელი პირისაც, არის შესაბამისი დონის ბიუჯეტის სახსრების ფარგლებში გაცემული გრანტები. სახელმძღვანელო ძირითადად შექმნილია, არასამეწარმეო მიზნებისთვის გაცემული გრანტების მონიტორინგის განხორციელების ხელშეწყობისთვის. თუმცა, მონიტორინგის მიზნობრიობიდან გამომდინარე, მონიტორინგის განმახორციელებელ პირს შესაძლებლობა აქვს, სამეწარმეო სუბიექტებზე ან/და სამეწარმეო მიზნით გაცემული გრანტების მონიტორინგისთვისაც გამოიყენოს ეს მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო.

მონიტორინგის მიზნობრიობიდან გამომდინარე, სახელმძღვანელო, ასევე შეიძლება გამოყენებული იქნეს საჯარო ინსტიტუციების მიერ, წინასწარ გაწერილი წესების მიხედ-ვით, საგრანტო დაფინანსების მსგავსი დაფინანსების გაცემის მონიტორინგისთვისაც.

მეთოდოლოგია არ მოიცავს სახელმწიფო გრანტების ფარგლებში განხორციელებული პროექტების შინაარსისა თუ ხარისხის შეფასების მიმართულებას. ის ერთი მხრივ, ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ რამდენად არის წინასწარ განსაზღვრული გრანტის გაცემასთან დაკავშირებული საკითხები, ხოლო მეორე მხრივ, რამდენად და როგორ ასრულებს გრანტის გამცემი საჯარო ინსტიტუცია მის ვალდებულებებს, გრანტის გაცემისა და განხორციელების ყველა ეტაპზე.

მეთოდოლოგიაში მოკლედ არის მიმოხილული საქართველოში მოქმედი გრანტების გაცემის სისტემის ძირითადი სამართლებრივი ჩარჩო, 2017 წლის ნოემბრის მდგომარეობით[1], აგრეთვე ძირითადი ინფორმაცია სახელმწიფო გრანტების გაცემის პრაქტიკის შესახებ. სახელმძღვანელოში დეტალურად არის მოცემული ინფორმაცია მონიტორინგის ეტაპებისა და მათი შესწავლისას/მონიტორინგისას გამოსაყენებელი მეთოდების შესახებ.

მეთოდოლოგიის სტრუქტურა და მასში მოცემული ინფორმაცია, მოიცავს სახელმწიფო გრანტის გაცემის ყველა ძირითად ეტაპს და იგი მონიტორინგის განმახორციელებელ პირს დაეხმარება მონიტორინგის განხორციელების ყველა ეტაპზე. შესაბამისად მეთოდოლოგია:

1. სახელმწიფოს მიერ გაცემული გრანტების პროცესის მონიტორინგის განმახორციელებელ პირს აძლევს პრაქტიკულ და თეორიულ მიმართულებებს საქმიანობის განხორციელებისთვის;
2. მონიტორინგის განმახორციელებელ პირს აწვდის ინფორმაციას საქართველოში მოქმედი გრანტების გაცემის სისტემის შესახებ - საკანონმდებლო ბაზა და პრაქტიკა;
3. მონიტორინგის განმახორციელებელ პირს უზრუნველყოფს მისი საქმიანობისთვის საჭირო მეთოდური მითითებებითა და პრაქტიკული მაგალითებით/ნიმუშებით.

მონიტორინგის მეთოდოლოგიის შემუშავებისას გამოყენებული იქნა შემდეგი დოკუმენტები/ინფორმაცია: **1)** სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის (CSI) მიერ განხორციელებული კვლევის - *საქართველოში საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახელმწიფო დაფინანსების მექანიზმები* - მასალები და ძირითადი მიგნებები; **2)** სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის (CSI) მიერ შემუშავებული მონიტორინგის მეთოდოლოგიის კონცეფცია, აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახელმწიფო დაფინანსების ეროვნულ ფორუმზე სამუშაო ჯგუფების მიერ განხილული კონცეპტუალური ხედვა/მოსაზრებები და შემოთავაზებული მონიტორინგის ძირითადი კრიტერიუმები.

[1] 2017 წლის 30 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული იქნა ცვლილებები „გრანტების შესახებ" საქართველოს კანონში, რომლის მიხედვითაც გრანტის გამცემ სუბიექტებს დაემატა ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროები. ცვლილებები გამოქვეყნდა 2017 წლის 8 დეკემბერს, ის მაინც აისახა ამ სახელმძღვანელოში.

2. სამართლებრივი ჩარჩო

საქართველოში გრანტის გაცემის, მიღებისა და გამოყენების საერთო პირობებს ადგენს საქართველოს **კანონი „გრანტების შესახებ“.** ამ კანონითვე რეგულირდება სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ გრანტების გაცემის შესაძლებლობა და გრანტის გაცემის მიმართულებები.

ასევე, საქართველოს მთავრობის მიერ **2011 წლის 14 მარტის N126 დადგენილებით**, განისაზღვრა საქართველოს სამინისტროებისა და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების (სსიპ) მიერ საგრანტო ურთიერთობისას შესასრულებელი ჩარჩო შემთანხმებელი პროცედურები.

“გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის გარდა, მოქმედებს სხვა საკანონმდებლო აქტებიც, რომლებიც ერთი მხრივ, განსაზღვრავენ პრიორიტეტული მიმართულებით სახელმწიფო ინსტიტუციების მიერ გრანტის გაცემის შესაძლებლობას, ხოლო, მეორე მხრივ, გრანტის გამცემ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს. გარდა საკანონმდებლო აქტებისა, მოქმედებს რიგი ნორმატიული აქტებისა, რომლებითაც განისაზღვრება საჯარო ინსტიტუციების მიერ გრანტის გაცემის წესები და პროცედურები.[2]

2.1. რა უნდა ვიცოდეთ საჯარო ინსტიტუციის მიერ გრანტების გაცემის შესახებ?

- „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონით **არ არის დადგენილი** სამინისტროების ან საჯარო სამართლის იურიდული პირების მიერ გრანტის გაცემის **საერთო პრინციპები, პროცედურები და წესები;**

- „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონით არ არის გათვალისწინებული გრანტის გაცემის წესების არსებობის ან/და მათი მთავრობასთან **შეთანხმების ვალდებულება;**

- „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი **ერთადერთ დათქმას აკეთებს,** რომ საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესით, საქართველოს სამინისტრო ვალდებულია **გრანტის გაცემის შესახებ დოკუმენტის პროექტი** მის გაფორმებამდე, **განსახილველად წარუდგინოს** საქართველოს მთავრობას. ხოლო, ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისი სამინისტრო, შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასთან ათანხმებს დოკუმენტებს, ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ დადგენილი წესით;

- საჯარო ინსტიტუციების მიერ გრანტის გაცემის წესები და პროცედურები განისაზღვრება სხვადასხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით ან/და ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებით;

[2] იხილეთ დანართი N1 (სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი)

- საჯარო ინსტიტუციამ გრანტი შეიძლება გასცეს შესაბამისი დონის ბიუჯეტიდან მისთვის გამოყოფილი სახსრებიდან ან/და სხვა წყაროებიდან მიღებული სახსრებიდან, მათ შორის დონორიდან მიღებული სახსრებით.

2.2. რომელ საჯარო ინსტიტუციას შეუძლია გასცეს გრანტი?

1. საქართველოს სამინისტრო, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი;[3]
2. ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტრო;[4]
3. სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ).[5]

2017 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით, გრანტის გაცემის უფლება მინიჭებული აქვს 10 სსიპ, კერძოდ:

1. სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი;
2. სსიპ - დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო;[6]
3. სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი;
4. სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი;[7]
5. სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრი;
6. სსიპ - საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო;
7. სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი;
8. სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო;
9. სსიპ - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო;
10. სსიპ - აწარმოე საქართველოში.

---

[3] იხილეთ დანართი N2 (გრანტის გამცემი სამინისტროების სია, გრანტის გაცემის მიმართულებები და გაცემის ძირითადი საფუძვლები).

[4] ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროები გრანტის გამცემ სუბიექტებს დაემატა, „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში, 2017 წლის 30 ნოემბერს შესული ცვლილებებით (გამოქვეყნების თარიღი: 08.12.2017).

[5] იხილეთ დანართი N3 (გრანტის გამცემი სსიპ-ების სია, გრანტის გაცემის მიმართულებები და გაცემის ძირითადი სამართლებრივი საფუძვლები).

[6] საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის დადგენილებით, 2018 წლის 1 იანვრიდან იცვლება სააგენტოს სახელწოდება და იგი ყალიბდება შემდეგნაირად: „სსიპ - საარსებო წყაროების სააგენტო“. შესაბამისი ცვლილებები უნდა შევიდეს სააგენტოს დებულებაშიც.

[7] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 5 სექტემბრის N156/ნ ბრძანების მიღებამდე, ფონდის სახელწოდება იყო სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი.

შენიშვნა

„გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად გრანტის გამცემი ასევე შეიძლება იყოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი. შესაბამისად, საჯარო ინსტიტუციის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ, თუ ამას ითვალისწინებს მისი საწესდებო მიზანი, შეიძლება იყოს გრანტის გამცემი.

ზემოაღნიშნულის გარდა, არსებობს სსიპ-ები, რომელებიც სხვადასხვა მიზნობრივი მიმართულებებით გასცემენ საგრანტო დაფინანსების მსგავს დაფინანსებებს.

2.3. ვინ შეიძლება იყოს გრანტის მიმღები?

„გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით გრანტის მიმღები, სხვა სუბიექტებთან ერთად, შეიძლება იყოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი და ფიზიკური პირი. ამასთან, საჯარო ინსტიტუციის მიერ გაცემული გრანტის მიმღები სავარაუდო სუბიექტები განისაზღვრება იმ სამართლებრივი აქტით, რომელიც განსაზღვრავს გრანტის გაცემის მიმართულებას და წესებს.

2.4. რა უნდა ვიცოდეთ საქართველოს სამინისტროების მიერ გრანტების გაცემის შესაძლებლობის შესახებ?

- გრანტის გამცემი შეიძლება იყოს ნებისმიერი სამინისტრო და სახელმწიფო მინისტრის აპარატი, „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, თუ მის მიერ გრანტის გაცემა გათვალისწინებულია სამინისტროს ამოცანებიდან ან/და სახელმწიფო ბიუჯეტით შესაბამისი სამინისტროსთვის გამოყოფილი ასიგნებების მიზნობრიობიდან;[8]

- კანონის მოქმედი რედაქციის მიხედვით, საქართველოს სამინისტროები საქართველოს მთავრობასთან ათანხმებენ არა გრანტის გაცემის წესებსა და პროცედურებს, არამედ გრანტის გაცემის კონკრეტულ დოკუმენტებს;

- დოკუმენტის პროექტი მის გაფორმებამდე განსახილველად უნდა წარედგინოს საქართველოს მთავრობას (თუ გასაცემი გრანტის მოცულობა აღემატება 50,000 ლარს) ან საქართველოს პრემიერ - მინისტრს (თუ გასაცემი გრანტის მოცულობა არ აღემატება 50,000 ლარს) გრანტის მიღების მიზნის, მოცულობისა და სახსრების გამოყენების კონკრეტული მიმართულების წინასწარი შეფასების მიზნით;

- საქართველოს სამინისტროების მიერ გრანტების გაცემა ხდება მინისტრის ნორმატიული აქტით დადგენილი წესით. არსებობს ორი შემთხვევა:

[8] იხილეთ დანართი N2.

1. სამინისტროს დებულება პირდაპირ ითვალისწინებს მინისტრის უფლებამოსილებას, დაადგინოს გრანტის გაცემის წესები (მაგ: საქართველოს იუსტიციის მინისტრს აქვს მსგავსი უფლებამოსილება)
2. მინისტრის მიერ გრანტების გაცემის წესების დადგენა ხდება მისთვის მინიჭებული ზოგადი უფლებამოსილების ფარგლებში - მიიღოს ნორმატიული აქტი.

- საქართველოს სამინისტროს მიერ გრანტის გაცემა შეიძლება მოხდეს როგორც სახელმწიფო ბიუჯეტით მისთვის გამოყოფილი სახსრების ფარგლებში, ასევე სხვა წყაროებიდან მიღებული სახსრებიდან, მაგალითად, დონორისგან მიღებული სახსრებით;

- საქართველოს სამინისტროებისთვის განსაზღვრულია გრანტის სახით გასაცემი სახსრების ჯამური ლიმიტი - საქართველოს სამინისტროს მიერ გაცემული გრანტების წლიური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს მისთვის დამტკიცებული ასიგნებების 1%-ს. თუმცა, საქართველოს მთავრობას შეუძლია ამ წესიდან გამონაკლისი დაადგინოს.

2.5 რა უნდა ვიცოდეთ ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროების მიერ გრანტის გაცემის შესაძლებლობის შესახებ?

- გრანტის გამცემი შეიძლება იყოს ნებისმიერი სამინისტრო, „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, თუ მის მიერ გრანტის გაცემა გათვალისწინებულია სამინისტროს ამოცანებიდან ან/და ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტით შესაბამისი სამინისტროსთვის გამოყოფილი ასიგნებების მიზნობრიობიდან;

- კანონის მოქმედი რედაქციის მიხედვით, ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროები, შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასთან ათანხმებენ არა გრანტის გაცემის წესებსა და პროცედურებს, არამედ გრანტის გაცემის კონკრეტულ დოკუმენტებს.[9]

[9] ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროები გრანტის გამცემად განისაზღვრენ, „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში 2017 წლის 30 ნოემბერს შესული ცვლილებებით (გამოქვეყნების თარიღი: 08.12.2017). შესაბამისად, მეთოდოლოგიაში დეტალურად არ არის განხილული ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისი ნორმატიული ბაზა.

2.6. რა უნდა ვიცოდეთ სსიპ-ების მიერ გრანტების გაცემის შესაძლებლობის შესახებ?

- სსიპ გრანტის გამცემი შეიძლება იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ასეთად არის განსაზღვრული საქართველოს მთავრობის მიერ ან შესაბამისი საკანონმდებლო აქტით (მაგ: სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი და სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, რომლებიც კანონით არიან განსაზღვრული გრანტის გამცემებად);[10]

- ისევე როგორც საქართველოს სამინისტროს შემთხვევაში, კანონი არც სსიპ-ის შემთხვევაში ითვალისწინებს გრანტის გაცემის რაიმე ერთიან, მინიმალურ სტანდარტებს თუ წესებს;

- კანონით არ არის გათვალისწინებული გრანტის გაცემის წესების საქართველოს მთავრობასთან შეთანხმების ვალდებულება;

- სსიპ-ის მიერ გრანტების გაცემის წესების დადგენის რამდენიმე მიდგომა არსებობს:
    1. საქართველოს კანონი პირდაპირ განსაზღვრავს სსიპ-ის მიერ გრანტის გაცემის წესის დამდგენ სუბიექტს;
    2. საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით (დადგენილება) განისაზღვრება შესაბამისი მიმართულებით გრანტის გაცემის წესი;
    3. სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი სამინისტრო ადგენს შესაბამისი სსიპ-ის მიერ გრანტის გაცემის წესს;
    4. საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამა განსაზღვრავს სსიპ-ის მიერ გრანტის გაცემის წესს.

2.7. გრანტის გაცემის მიზნობრიობა

„გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედი რედაქციით, გრანტი არის -

> *„უსასყიდლოდ გადაცემული მიზნობრივი სახსრები ფულადი ან ნატურალური ფორმით, რომლებიც გამოიყენება კონკრეტული* ***ჰუმანური, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურული, სპორტული, ეკოლოგიური, სასოფლო-სამეურნეო განვითარებისა და სოციალური პროექტების,*** *აგრეთვე სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროგრამების განხორციელებისათვის.“*

[10] იხილეთ დანართი N3.

2.8. შეიძლება თუ არა გრანტიების გაცემა სამეწარმეო მიზნების მისაღწევად?

მოქმედი საკანონმდებლო ბაზის მიხედვით, გრანტის სამეწარმეო მიზნის მისაღწევად ან მეწარმე სუბიექტზე გაცემა შესაძლებელია თუ:

- გრანტის მიმღები არის აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება;

- გრანტის მიმღები არის იურიდიული პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი;

- გრანტის მიმღები არის საქართველოში რეგისტრირებული მეწარმე სუბიექტი – „ინოვაციების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ინოვაციური საქმიანობის განსახორციელებლად (მხოლოდ სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ გაცემული გრანტის შემთხვევაში);

- გრანტის მიმღები არის პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მონაწილე მეწარმე სუბიექტი/მეწარმე სუბიექტთა ჯგუფი (მხოლოდ სსიპ-ის – „აწარმოე საქართველოში“ მიერ გაცემული გრანტების შემთხვევაში).

2.9. გრანტის გაცემის სხვა საკანონმდებლო საფუძვლები

როგორც აღინიშნა, “გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის გარდა, მოქმედებს სხვა საკანონმდებლო აქტები, რომელებიც განსაზღვრავს გრანტის გაცემის მიმართულებას ან/და გრანტის გამცემ კონკრეტულ სსიპ-ს:

- „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონი

რას ითვალისწინებს: ქვეყნის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი პროექტებისა და რეფორმების მხარდაჭერას, სახელმწიფო მომსახურების განვითარების ხელშეწყობას, ახალი და ინოვაციური სერვისების დანერგვას საგრანტო დაფინანსების გზით.
გრანტის გამცემი: სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო

- „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“ საქართველოს კანონი

რას ითვალისწინებს: ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიმართ სახელმწიფოს ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელებას და საგრანტო დაფინანსების შესაძლებლობას.
გრანტის გამცემი: სსიპ - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს

- **„მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“** საქართველოს კანონი

რას ითვალისწინებს: ითვალისწინებს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობას საგრანტო დაფინანსების გზით.

- **„ინოვაციების შესახებ“** საქართველოს კანონი

რას ითვალისწინებს: ითვალისწინებს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობას და ამ მიზნით პროექტების დაფინანსებისთვის გრანტების გაცემას.
გრანტის გამცემი: სსიპ ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო

- **„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“** საქართველოს კანონი

რას ითვალისწინებს: არასამთავრობო ორგანიზაციებზე გრანტების გაცემას მხოლოდ პარტიების განვითარებისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობის მიზნით.
გრანტის გამცემი: სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრს.

3. სახელმწიფო გრანტების გაცემის პრაქტიკა[11]

3.1. ბოლო წლების პრაქტიკის მიმოხილვა

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ განხორციელდა „საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახელმწიფო დაფინანსების მექანიზმების კვლევა“. კვლევის ფარგლებში, ძირითადად შესწავლილ იქნა სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე (არასამეწარმეო იურიდიულ პირებზე) გრანტის გაცემის კანონმდებლობა და პრაქტიკა.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ 2017 წლის მაისის მდგომარეობით, საქართველოს 3 სამინისტროს და 4 სსიპ-ს აქვს გაცემული სახელმწიფო გრანტები არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირებზე. კვლევის განხორციელებისას გრანტის გამცემი სახელმწიფო ინსტიტუციები იყო:

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;
2. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო;
3. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო;
4. სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი;
5. სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი;
6. სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი;
7. სსიპ - საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო.

შენიშვნა

მონიტორინგის ამ სახელმძღვანელოს მთავარი ობიექტია შესაბამისი დონის ბიუჯეტის სახსრების ფარგლებში გაცემული გრანტები!

2017 წლის მაისის მდგომარეობით, საჯარო ინსტიტუციების მიერ, არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებზე საგრანტო დაფინანსება გაიცა სხვადასხვა მიმართულებით, კერძოდ:

- **საქართველოს სამინისტროები** - დანაშაულის პრევენცია და ყოფილი მსჯავრდებულების რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია; საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების სარეინტეგრაციო დახმარება და დევნილთა საარსებო წყაროების შექმნა; მოხალისეების ინსტიტუტის გაძლიერება.
- **სსიპ** - პარტიების განვითარების ხელშეწყობა და ამომრჩეველთა სამოქალაქო განათლება; სამეცნიერო კვლევების განხორციელება; ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება.

[11] აღნიშნული ქვეთავის მონაცემები ეფუძნება სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის (CSI) კვლევაში მოცემულ მონაცემებს. ვ.სალამაძე, ლ.ფანიაშვილი, ნ. აფხაზავა, გ.ავაზაშვილი, „საქართველოში *საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახელმწიფო დაფინანსების მექანიზმები“*, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი, თბილისი, ივნისი 2017, http://bit.ly/2khnl0q.

იხილეთ დანართი N4, რომელშიც მოცემულია 2017 წლის მაისის მდგომარეობით, სამინისტროებისა და სსიპ-ების მიერ, არასამეწარმეო იურიდიულ პირებზე გაცემული გრანტების საერთო ოდენობები და მიმართულებები.

3.2. გრანტების შესახებ ზოგადი მონაცემების განახლება

უკანასკნელ წლებში კანონმდებლობაში შევიდა ბევრი ცვლილება, რომლითაც ერთი მხრივ გაიზარდა გრანტის გამცემი საჯარო ინსტიტუციები, ხოლო მეორე მხრივ, გაფართოვდა გრანტის გაცემის შესაძლო მიმართულებები. გარდა ამისა, წლიდან წლამდე იცვლება საჯარო ინსტიტუციების მიერ გაცემული გრანტების მოცულობები. აქედან გამომდინარე მონიტორინგის განხორციელებისას, მისი მიზნობრიობის გათვალისწინებით, შეიძლება საჭირო გახდეს ამ მონაცემების პერიოდული განახლება.

მონიტორინგის პერიოდში მნიშვნელოვანია განახლდეს ინფორმაცია გრანტის გამცემი სუბიექტების ცვლილების შესახებ. ამ მიზნით, უპირველეს ყოვლისა, უნდა მივაქციოთ ყურადღება მოხდა თუ არა ცვლილებები სამართლებრივ ბაზაში და რა შედეგები მოყვა ამ ცვლილებებს (გაიზარდა ან შემცირდა გრანტის გამცემი ინსტიტუციების რაოდენობა, გაიზარდა ან შემცირდა გრანტის გაცემის მიმართულება).

შესაბამისი ნორმატიული აქტების (კანონები, კანონქვემდებარე აქტები, ბრძანებები და ა.შ), ისევე როგორც გრანტის გაცემის წესის მოძიება შესაძლებელია სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე"-ს ოფიციალურ ვებგვერდზე - matsne.gov.ge. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე, შესაძლებელია საქართველოს მთავრობის ზოგიერთი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის მოძებნაც (მაგ: სსიპ-ის გრანტის გამცემად განსაზღვრის შესახებ).

საჭირო იქნება მხოლოდ ვებგვერდის საძიებო ველში საკვანძო სიტყვის/წინადადების მითითება, რომელიც შეესაბამება ნორმატიულ აქტს, რის შემდეგაც სასურველი აქტების დათვალიერება, გადმოტვირთვა და ანალიზია შესაძლებელი. საყურადღებოა, რომ ნორმატიულ აქტში ცვლილებების სანახავად უნდა დააკვირდეთ არის თუ არა თქვენ მიერ მოძიებული ვერსია კონსოლიდირებული (საბოლოო), რათა მოძიების მომენტისთვის მოქმედი რეგულაციით იხელმძღვანელოთ. ამასთანავე, გრანტის გამცემის ვებგვერდზე შესაძლებელია სამართლებრივი აქტების მოძიება, მაგალითად დებულების, საიტის შესაბამის კატეგორიაში.[12]

თუ გრანტის გამცემი საჯარო ინსტიტუციების რიცხვი შეიცვალა, matsne.gov.ge-ის ვებგვერდზე შეიძლება ამ დაწესებულების მიერ გრანტებთან დაკავშირებით მიღებული ნორმატიული აქტებიც ნახოთ. ამით განაახლებთ გრანტის გამცემი საჯარო დაწესებულებების რიცხვსა და საკანონმდებლო ჩარჩოს მიმოხილვას. თუმცა, მათი

[12] იხილეთ დანართი N1 (მოქმედი სამართლებრივი ბაზის ჩამონათვალი).

რიცხვის შეცვლის გადამოწმება, დამატებით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვითაც შეგიძლიათ.[13]

მონიტორინგის მიზნებიდან გამომდინარე, შეიძლება საჭირო გახდეს საჯარო ინსტიტუციის მიერ დაფინანსებული პროექტების, დაფინანსებული ორგანიზაციებისა და გაცემული დაფინანსების რაოდენობის შესახებ ინფორმაციის მოძიება. ამ მიზნით საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის განცხადება უნდა გააგზავნოთ სახელმწიფო გრანტების გამცემ ცალკეულ საჯარო დაწესებულებებში.[14]

მოცემული მეთოდებითა და მოპოვებული ინფორმაციით, შეძლებთ დაადგინოთ:

- შეიცვალა თუ არა სახელმწიფო გრანტების გაცემის სამართლებრივი ბაზა;
- შეიცვალა თუ არა სახელმწიფო გრანტების გამცემი ინსტიტუციების რაოდენობა;
- რა რაოდენობის გრანტი გასცა ცალკეულმა საჯარო ინსტიტუციამ;
- რა იყო ცალკეული გაცემული გრანტის ოდენობა/მოცულობა;
- რომელი/რამდენი ორგანიზაცია/ფიზიკური პირი იყო გრანტის მიმღები;
- წლების მიხედვით, რა ოდენობის სახელმწიფო გრანტები გაიცა ცალკეული საჯარო ინსტიტუციის და მთლიანად სახელმწიფოს მიერ.

[13] იხილეთ დანართი N5 (განცხადების ნიმუში - 1).
[14] იხილეთ დანართი N6 (განცხადების ნიმუში - 2)

4. სახელმწიფო გრანტების მონიტორინგის ძირითადი ეტაპები

მეთოდოლოგიის ამ ნაწილში მოცემულია გრანტის გაცემის მთლიანი პროცესის ცალკეული ეტაპები, მათი მონიტორინგისთვის საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვალი, ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების მეთოდები, რომლებიც მონიტორინგის განმახორციელებელ პირს გამოადგება სახელმწიფო გრანტების სისტემის შეფასებისთვის.

სახელმწიფო გრანტების მონიტორინგის პროცესი დაყოფილია სამ ძირითად ეტაპად, რომლებიც თავის მხრივ რამდენიმე ქვე-ეტაპად იყოფა (იხ. სურათი #1). მომდევნო თავებში, შეგიძლიათ დეტალურად იხილოთ თითოეული ეტაპის მონიტორინგის პროცესის აღწერა.



სურათი #1: სახელმწიფო გრანტების მართვის ციკლი

4. 1. საჯარო ინსტიტუციების მიერ გასაცემი გრანტების დაგეგმვა

4.1.1. საგრანტო პროგრამების შექმნა

სახელმწიფო გრანტების სისტემის მონიტორინგის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია საჯარო ინსტიტუციების მიერ გასაცემი გრანტების დაგეგმვის ეტაპის მონიტორინგი.[15] ამ ეტაპზე, როგორც წესი იქმნება ერთიანი საგრანტო პროგრამა, რომელიც მოიცავს მონაცემებს საგრანტო თემის აქტუალურობის, მიზნების, მიმართულებების (პრიორიტეტების), შესრულების სავარაუდო ვადების და თანხების შესახებ.

წლის განმავლობაში გამოცხადებული საგრანტო კონკურსები შესაბამისობაში უნდა იყოს საგრანტო პროგრამასთან. აღსანიშნავია, რომ გრანტის გამცემ ზოგიერთ ინსტიტუციას შეიძლება არ გააჩნდეს ცალკე დამტკიცებული ერთიანი საგრანტო პროგრამა. ამ შემთხვევაში შეიძლება არსებობდეს სამართლებრივი აქტი, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტული პერიოდისთვის გრანტის გაცემის სავარაუდო თემატიკას და

[15] დანართში #7 მოცემულია გასაცემი გრანტის დაგეგმვის ეტაპზე საჭირო დოკუმენტაციისა და მონიტორინგის მეთოდების ვიზუალიზაცია.

მიმართულებებს. გარდა ამისა, პროგრამა შეიძლება არსებობდეს სხვადასხვა სახელწოდებით (საგრანტო პროგრამა, მიმართულებები და პრიორიტეტები და სხვა).

შენიშვნა

ერთიანი სტრუქტურირებული საგრანტო პროგრამა შეიძლება ყველა გრანტის გამცემ საჯარო ინსტიტუციას არ გააჩნდეს! თუმცა ასეთი სტრუქტურირებული ერთიანი პროგრამის არსებობა მნიშვნელოვანია, ვინაიდან ის ხელს უწყობს დაფინანსების მიზნობრიობისა და მისი განხორციელების შედეგიანობის უკეთ დანახვას !

რისი მონიტორინგი უნდა განხორციელდეს ამ ეტაპზე - ძირითადი კითხვები?

- ითვალისწინებს თუ არა გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი საგრანტო პროგრამის შექმნის ვალდებულებას?
- არსებობს თუ არა საგრანტო პროგრამა და რა ფორმით არის საგრანტო პროგრამა დამტკიცებული (ცალკე დამტკიცებული ერთიანი სტრუქტურირებული პროგრამაა, თუ სხვა ფორმით არის განსაზღვრული მიმართულებები და თემატიკა)?
- შეესაბამება თუ არა საგრანტო პროგრამა საჯარო ინსტიტუციის მიზნებს ან/და შესაბამისი დონის ბიუჯეტით შესაბამისი ინსტიტუციისთვის გამოყოფილი ასიგნებების მიზნობრიობას?
- დაცული იყო თუ არა საგრანტო პროგრამის შექმნისას (შემუშავება და დამტკიცება) გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული წესები?
- დაფუძნებულია თუ არა საგრანტო პროგრამა საჯარო ინსტიტუციის კომპეტენციის სფეროში აქტუალური და საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრის საჭიროებებსა და ემპირიულ კვლევაზე?
- ჩართულები იყვნენ თუ არა სხვადასხვა დაინტერესებული პირები საგრანტო პროგრამის შემუშავების პროცესში?

რას უნდა მივაქციოთ ყურადღება საგრანტო პროგრამაში?

იმ შემთხვევაში თუ გრანტის გამცემ ინსტიტუციას გააჩნია საგრანტო პროგრამა ან სხვა დოკუმენტი, რომელიც შეიცავს საგრანტო პროგრამის კომპონენტებს, მნიშვნელოვანია დავაკვირდეთ შემდეგ საკითხებს:

- შეესაბამება თუ არა პროგრამაში მითითებული აქტუალური და საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი საკითხების დასახელება გრანტის გამცემის მიზნებს;
- გაწერილია თუ არა შეფასების ინდიკატორები საგრანტო პროგრამაში;
- გრანტის გაცემით მისაღწევი შედეგების აღწერილობას; შესაბამისად, ვარკვევთ საგრანტო პროგრამა რამდენადაა შექმნილი კონკრეტული მიზნების მიღწევისთვის;
- საგრანტო ვადას;
- დაფინანსების ზღვრულ ოდენობას;
- დაფინანსების წყაროს;

- განხორციელდა თუ არა ცვლილებები პროგრამაში; რა საფუძვლით; დასაბუთებულია თუ არა ცვლილება; განხორციელდა თუ არა ცვლილება შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუციის გრანტის გაცემის წესის თანახმად.

4.1.2. გრანტების გაცემის დაგეგმვა

გასაცემი გრანტების დაგეგმვის ეტაპზე, მნიშვნელოვანია დავადგინოთ წინასწარ განისაზღვრა თუ არა საგრანტო განაცხადისადმი წაყენებული მოთხოვნები, წარსადგენი დოკუმენტები, განაცხადების შეფასების კრიტერიუმები და გადაწყვეტილებების მიღების პროცედურები.[16]

შენიშვნა

გრანტის გაცემის წესი ყველა გრანტის გამცემ საჯარო ინსტიტუციას შეიძლება არ გააჩნდეს! განსხვავებული შეიძლება იყოს რეგულირების ფარგლები და მიდგომები! ამასთან, გრანტის გაცემის დაგეგმვის პროცესის გამჭვირვალობისა და გაცემის პროცესის ობიექტურობისთვის, მნიშვნელოვანია საკვანძო საკითხების წინასწარ გაწერა და განსაზღვრა!

რას უნდა მივაქციოთ ყურადღება გრანტის გაცემის დაგეგმვის ეტაპზე?

- ითვალისწინებს თუ არა გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი საგრანტო პროგრამის ადმინისტრირებისთვის სპეციალურო ორგანოს (საბჭო/კომისია) შექმნის ვალდებულებას?
- შეიქმნა თუ არა საგრანტო პროგრამის ადმინისტრირებისთვის ორგანო (საბჭო/კომისია)?
- შეიქმნა თუ არა საგრანტო პროგრამის ადმინისტრირებისთვის ორგანო (საბჭო/კომისია) გრანტების გაცემის სამართლებრივი აქტით დადგენილი წესების შესაბამისად?
- ითვალისწინებს თუ არა გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი საგრანტო განაცხადისადმი წასაყენებელი მოთხოვნების, წარსადგენი დოკუმენტების და მისი განხილვის პროცედურების შემუშავებას?
- განისაზღვრა თუ არა საგრანტო განაცხადისადმი წაყენებული მოთხოვნები, წარსადგენი დოკუმენტები და მისი განხილვის პროცედურები?
- შეიქმნა თუ არა საპროექტო განაცხადების შეფასების კრიტერიუმები წინასწარ?

[16] დანართში #7 მოცემულია გრანტების გაცემის დაგეგმვის ეტაპზე საჭირო დოკუმენტაციისა და მონიტორინგის მეთოდების ვიზუალიზაცია.

- განისაზღვრა თუ არა საგრანტო კონკურსის გამოცხადების და გამჭვირვალობის კომპონენტი წინასწარ - რა ინფორმაცია უნდა გამოქვყნდეს წინასწარ (განცხადება, წაყენებული მოთხოვნები, შეფასების კრიტერიუმები და სხვა)? რა გზით უნდა გავრცელდეს ინფორმაცია (გრანტის გამცემის ვებგვერდი, სოციალური ქსელები, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა და სხვა)?
- განისაზღვრა თუ არა საგრანტო გადაწყვეტილებების გამოქვეყნების საკითხები წინასწარ?

მონიტორინგის პროცესის განხორციელებისას აუცილებელია ინფორმაციის სწორად მოგროვება და დამუშავება. შესაბამისად, გრანტების დაგეგმვის ეტაპის მონიტორინგისას უნდა ვიცოდეთ რა ინფორმაცია მოვიძიოთ და დავამუშავოთ, ასევე, კვლევის რა მეთოდები გამოვიყენოთ. დაგეგმვის ეტაპის მონიტორინგისას უნდა შევეცადოთ გავცეთ პასუხი ზემოთ მოცემულ შეკითხვებს, რის საფუძველზეც შევამოწმებთ გრანტების დაგეგმვის ხარისხს.

4.1.3 დოკუმენტების ნუსხა - რა დოკუმენტები უნდა მოვიძიოთ და დავამუშავოთ გრანტების დაგეგმვის მონიტორინგისას?

1. ის ნორმატიული აქტები, რომლებიც არეგულირებენ შესაბამისი გრანტის გამცემი საჯარო ინსტიტუციის მმართველობის სფეროს
2. სამართლებრივი აქტი, რომელიც გრანტის გამცემ ინსტიტუციას ანიჭებს გრანტის გაცემის უფლებამოსილებას
3. გრანტის გამცემი საჯარო ინსტიტუციის დებულება
4. გრანტის გამცემი საჯარო ინსტიტუციის საგრანტო პროგრამა
5. გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი (გრანტის გაცემის წესი და სხვა)
6. საგრანტო პროგრამის შექმნისას გამოყენებული კვლევები/მონაცემები
7. გადაწყვეტილებები/დოკუმენტები რომელითაც განისაზღვრება საკვალიფიკაციო მოთხოვნები, წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა, შეფასების კრიტერიუმები და სხვა
8. საგრანტო პროგრამის ადმინისტრირებისთვის შექმნილი სპეციალურო ორგანოს (საბჭო/კომისია) სხდომის ოქმები/გადაწყვეტილებები

4.1.4 რა კვლევის მეთოდები შეგვიძლია გამოვიყენოთ მონიტორინგის განსახორციელებლად?

1. **სამაგიდო კვლევა (დოკუმენტაციის შესწავლა).**

შესაბამისი **ნორმატიული აქტების** (კანონები, კანონქვემდებარე აქტები, ბრძანებები, დებულებები, ა.შ), ისევე როგორც გრანტის გაცემის წესის მოძიება შესაძლებელია სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“-ს ოფიციალურ ვებსაიტზე - matsne.gov.ge. გარდა ამისა, ამ სამართლებრივი აქტების მოძიება შესაძლებელია გრანტის გამცემი ინსტიტუციის ვებგვერდზე.

საგრანტო პროგრამა, ინდივიდუალური აქტები და გრანტის გაცემის პროცესის ამ ეტაპზე მიღებული გადაწყვეტილებები შესაძლებელია შემდეგი გზებით მოვიძიოთ:

- ✓ გრანტის გამცემის ვებგვერდზე
- ✓ გრანტის გამცემისგან საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით

საგრანტო პროგრამის შექმნისას გამოყენებული კვლევები, სტატისტიკური თუ სხვა ტიპის მონაცემები შესაძლებელია და მიზანშეწონილია მოპოვებული იყოს სახელმწიფო გრანტების გამცემი ინსტიტუციებისგან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის გზით.

2. **ინტერვიუების ჩატარება** გრანტის გამცემი საჯარო ინსტიტუციის წარმომადგენლებთან, სხვადასხვა დონის მენეჯერთან და საგრანტო პროგრამის შექმნაზე პასუხისმგებელ პირთან. ინტერვიუსთვის შეიძლება ზემოთხსენებული კითხვების გამოყენება.[17]

4.2. საჯარო ინსტიტუციების მიერ გრანტების გაცემის პროცესი

4.2.1 ეტაპის ზოგადი აღწერა

ამ ეტაპზე ხდება საგრანტო კონკურსის/განაცხადების მიღების გამოცხადება, ინფორმაციის გავრცელება, განაცხადების მიღება და გამარჯვებულთა შერჩევა. ამ ეტაპის შემდეგი ძირითადი ქვე-ეტაპები შეიძლება გამოიყოს:

- ➢ საგრანტო კონკურსის გამოცხადება;
- ➢ შემფასებელი ორგანოს (საბჭო/კომისია) ფორმირება;
- ➢ საგრანტო შეთავაზების შეფასება;
- ➢ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება;
- ➢ შიდა გასაჩივრების მექანიზმები[18]

შენიშვნა

შესაძლოა გრანტის გამცემ ყველა საჯარო ინსტიტუციას მსგავსი პროცედურები არ გააჩნდეს. თუმცა, არის რიგი საკითხები / კრიტერიუმები, რომლებიც გრანტის გაცემის შეფასებისას აუცილებლად გასათვალისწინებელია.

მონიტორინგისას პირველ რიგში ყურადღება უნდა მიექცეს გრანტის გამცემი ინსტიტუციის შესაბამის სამართლებრივ აქტში გრანტების გაცემის პროცედურებს და მასთან შესაბამისობის კუთხით შეფასდეს პროცესის ჯეროვნად წარმართვა. თუმცა, ასევე ყურადღება უნდა მიექცეს, გრანტის გაცემის შესახებ სამართლებრივ აქტში რამდენად არის ძირითადი ქვეეტაპები გაწერილი.

[17] ინტერვიუს ჩატარების დეტალური ინსტრუქცია იხილეთ მეთოდების თავში

[18] დანართში #8 მოცემულია გრანტის გაცემის პროცესის ეტაპზე მონიტორინგის ჩატარებისთვის საჭირო დოკუმენტაციისა და მონიტორინგის მეთოდების ვიზუალიზაცია.

4.2.2. გრანტის გამოცხადება

რისი მონიტორინგი უნდა განხორციელდეს სახელმწიფო გრანტების გაცემის ეტაპზე - ძირითადი კითხვები

- ითვალისწინებს თუ არა გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი გრანტის გამოცხადების პროცედურებსა და ფორმებს?
- საგრანტო კონკურსის შესახებ ინფორმაციის გავრცელების რა საშუალებას ითვალისწინებს გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი (ვებგვერდი, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა, სოციალური ქსელი და სხვა)?
- რა საშუალებით გავრცელდა ინფორმაცია საგრანტო კონკურსის შესახებ (ვებგვერდი, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა, სოციალური ქსელები, მედია საშუალებები (ტრადიციული და ონლაინ), განცხადება და ა.შ.)?
- კონკურსის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია რამდენად იყო ამომწურავი და რამდენად ხელმისაწვდომი იყო ყველა საჭირო დოკუმენტაცია - განაცხადის ფორმა, კონკურსანტების მიმართ წაყენებული მოთხოვნები, წარსადგენი დოკუმენტები, განაცხადების შეფასების კრიტერიუმები, გადაწყვეტილებების მიღების პროცედურები, გასაჩივრების პროცედურები;

შენიშვნა

მნიშვნელოვანია, საგრანტო დოკუმენ-ტების წარსადგენად კონკურსანტებს მიცემული ჰქონდეთ გონივრული ვადა, რა დროშიც შეძლებენ განაცხადით მოთხოვნილი დოკუმენტების შეგროვე-ბას/მომზადებას.

- ითვალისწინებს თუ არა გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი განაცხადების წარდგენის მინიმალურ ვადებს?
- წინასწარ დადგინდა თუ არა საკონკურსო განაცხადის/დოკუმენტების წარდგენისთვის ვადა და რა ვადა მიეცათ კონკურსანტებს განაცხადის წარსადგენად?
- საკონკურსო განაცხადების და დოკუმენტების გრანტის გამცემისთვის წარდგენის რა საშუალებებს ითვალისწინებს გრანტის გაცემის შესახებ სამართლებრივი აქტი (ელ-ფოსტა, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა და სხვა)? და როგორია მისი პრაქტიკა?
- დამატებითი კითხვების შემთხვევაში, საჯარო ინსტიტუცია კონსულტაციების რა გზებს სთავაზობდა დაინტერესებულ პირებს? (ელ-ფოსტაზე მიწერა, საკონსულტაციო საათები და ა.შ.)

4.2.3. შემფასებელი ორგანოს (კომისია/საბჭო) ფორმირება

რისი მონიტორინგი უნდა განხორციელდეს სახელმწიფო გრანტების გაცემის ეტაპზე - ძირითადი კითხვები

- ითვალისწინებს თუ არა გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი შემფასებელი ორგანოს (კომისია/საბჭო) ფორმირების საკითხს?
- შემფასებელი ორგანოს (კომისა/საბჭო) ფორმირების დროს, რამდენად იყო დაცული შესაბამისი სამართლებრივი აქტით/გრანტის გაცემის წესით გათვალისწინებული მოთხოვნები?
- რამდენად წარმომადგენლობითი ან კონკურსის თემატიკასთან შესაბამისი იყო შემფასებელი ორგანოს (კომისია/საბჭო) შემადგენლობა?
- გათვალისწინებულია თუ არა გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტით ინტერესთა კონფლიქტის საკითხი?
- ითვალისწინებს თუ არა გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი შემფასებელი ორგანოს (კომისია/საბჭო) მუშაობის საკითხს/პრინციპებს/წესებს?

შენიშვნა

კომისიის ფორმირების საკითხზე სამართლებრივი აქტებით შეიძლება განსხვავებული მიდგომა არსებობდეს. თუმცა, სასურველია, კომისიის წევრების მნიშვნელოვანი ნაწილი სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლები ან კონკურსის თემატიკის სპეციალისტები იყვნენ და მხოლოდ ცალკეულ საჯარო დაწესებულებებს არ წარმოადგენდნენ.

4.2.4. საკონკურსო განაცხადების შეფასება

რისი მონიტორინგი უნდა განხორციელდეს სახელმწიფო გრანტების გაცემის ეტაპზე - ძირითადი კითხვები

- ითვალისწინებს თუ არა გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი ან გრანტის განაცხადი შეფასების კრიტერიუმებს ან მათი განსაზღვრის წესებს?
- წინასწარ დადგინდა თუ არა განაცხადების შეფასების კრიტერიუმები?
- სულ რამდენი საკონკურსო განაცხადი იქნა წარდგენილი? რამდენი განიხილეს? რამდენის განხილვაზე თქვეს უარი? რა იყო უარის მიზეზი?
- ითვალისწინებს თუ არა გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი წარდგენილ განაცხადში ხარვეზების შევსების/გამოსწორების წესებს?
- ითვალისწინებს თუ არა გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი საკონკურსო განაცხადების შეფასების პროცედურებს?
- შეფასებისას რამდენად იქნა დაცული სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული ყველა პროცედურა?
- გათვალისწინებული იყო თუ არა შეფასების ქულათა სისტემა? თუ არა, როგორ შეფასდა განაცხადები და როგორ გამოვლინდა გამარჯვებული?

შენიშვნა

განაცხადების შეფასების საკითხზე სამართლებრივი აქტით შეიძლება განსხვავებული მიდგომა არსებობდეს. თუმცა, სასურველია, რომ განაცხადები ფასდებოდეს გაზომვადი ან/და განჭვრეტადი კრიტერიუმებით.

4.2.5. საბოლოო გადაწყვეტილების მიღება გრანტების გაცემის შესახებ

რისი მონიტორინგი უნდა განხორციელდეს სახელმწიფო გრანტების გაცემის ეტაპზე - ძირითადი კითხვები

- ითვალისწინებს თუ არა გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესებს? როგორია გადაწყვეტილების მიღების წესი? ვინ იღებს გადაწყვეტილებას?
- რამდენად დადგენილი წესისა და კრიტერიუმების მიხედვით შეირჩა გამარჯვებული?
- ინტერესთა კონფლიქტი - იკვეთება თუ არა ინტერესთა შეუთავსებლობის შემთხვევები შემფასებელი ორგანოს წევრებსა და კონკურსანტ(ებ)ს შორის?
- ითვალისწინებს თუ არა გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი გამარჯვებულის შესახებ გადაწყვეტილების გამოქვეყნების ვალდებულებას?
- რამდენად გავრცელდა ინფორმაცია გამარჯვებულის შესახებ და კომუნიკაციის რა საშუალებებით?
- რამდენად ხელმისაწვდომი იყო გამარჯვებული პროექტის შესახებ ძირითადი დეტალები?

4.2.6. გასაჩივრების შიდა მექანიზმი

რისი მონიტორინგი უნდა განხორციელდეს სახელმწიფო გრანტების გაცემის ეტაპზე - ძირითადი კითხვები

- ითვალისწინებს თუ არა გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი კონკურსის შედეგების გასაჩივრების შიდა მექანიზმს?
- თუ ითვალისწინებს, გასაჩივრდა თუ არა კონკურსი, განიხილეს თუ არა საჩივარი და რა შედეგით დასრულდა განხილვა?
- ითვალისწინებს თუ არა გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი გასაჩივრების შედეგების გამოქვეყნების ვალდებულებას?
- გამოქვეყნდა თუ არა გასაჩივრების შედეგები და რა საშუალებებით?

4.2.7. დოკუმენტების ნუსხა - რა დოკუმენტები უნდა მოვიძიოთ და დავამუშავოთ სახელმწიფო გრანტების გაცემის ეტაპის მონიტორინგისას?

1. სამართლებრივი აქტი რომლითაც განისაზღვრება გრანტის გაცემის წესი
2. გრანტის გამცემი საჯარო ინსტიტუციის მიერ გრანტის გაცემის პროცესთან დაკავშირებით მიღებული სამართლებრივი აქტები და დოკუმენტები (არსებობის შემთხვევაში)
3. გრანტის გაცემის/საგრანტო კონკურსის ოფიციალური განაცხადი, თანდართული დოკუმენტაცია და შეფასების კრიტერიუმები
4. გრანტის შემფასებელი ორგანოს (კომისია/საბჭო) დაკომპლექტებასთან დაკავშირებით მიღებული სამართლებრივი აქტი
5. გრანტის შემფასებელი ორგანოს სხდომების ოქმები და გადაწყვეტილებები
6. გრანტის შემფასებელი ორგანოს მიერ კონკურსანტების შეფასების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (შეფასების ფორმა)
7. კონკურსის პროცედურებთან და მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული საჩივრები - საჩივრის ტექსტი, მხარეთა არგუმენტაცია, დავების განმხილველი ორგანოს დასკვნა.
8. სამართლებრივი აქტები გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ

4.2.8. კვლევის რა მეთოდები შეგვიძლია გამოვიყენოთ სახელმწიფო გრანტების გაცემის ეტაპის მონიტორინგის განსახორციელებლად?

1. **სამაგიდო კვლევა (დოკუმენტაციის შესწავლა).**

შესაბამისი **ნორმატიული აქტების** (კანონები, კანონქვემდებარე აქტები, ბრძანებები, დებულებები, ა.შ), ისევე როგორც გრანტის გაცემის წესის მოძიება შესაძლებელია სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“-ს ოფიციალურ ვებგვერდზე - matsne.gov.ge. გარდა ამისა, ამ სამართლებრივი აქტების მოძიება შესაძლებელია გრანტის გამცემი ინსტიტუციის ვებგვერდზე.

გრანტის გაცემის ეტაპთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები, ოქმები და სხვა დოკუმენტები შესაძლებელია შემდეგი გზებით მოვიძიოთ:

- ✓ გრანტის გამცემის ვებგვერდის შესაბამისი განყოფილება;
- ✓ გრანტის გამცემისგან საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით;
- ✓ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა (თუ ინფორმაციის ამ ფორმით გამოქვეყნება განსაზღვრულია გრანტის გამცემისთვის)

2. **ინტერვიუ** გრანტის გამცემი საჯარო ინსტიტუციის წარმომადგენლებთან, საკითხზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებთან.

4.3. საჯარო ინსტიტუციის მიერ გრანტების განხორციელების მონიტორინგი

4.3.1. გაცემული გრანტების განხორციელების შეფასება

ამ ეტაპზე, მონიტორინგის განმახორციელებელი ამოწმებს, თუ რა მექანიზმებით აფასებს გრანტის გამცემი საჯარო ინსტიტუცია მის მიერ გაცემული გრანტის განხორციელებას. შესაბამისად, მონიტორინგის განმახორციელებელმა სასურველია დაადგინოს რამდენად ფლობს გრანტის გამცემი ინსტიტუცია ინფორმაციას გრანტის განხორციელების შესახებ. მნიშვნელოვანია, მონიტორინგის განმახორციელებელი პირმა გაარკვიოს რა ფორმით და მექანიზმების გამოყენებით ხდებოდა მონიტორინგის განხორციელება გრანტის გამცემის მიერ.[19]

შენიშვნა
შესაძლოა გრანტის გამცემ ყველა საჯარო ინსტიტუციას გრანტის განხორ-ციელებასა და მონიტორინგთან დაკავშირებით მსგავსი პროცედურები არ გააჩნდეს. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ გრანტის გამცემი აფასებდეს გაცემული გრანტის განხორციელების შესაბამისობას გაცემის მიზნობრიობასთან და დაგეგმილ აქტივობებთან.

რას მივაქციოთ ყურადღება გრანტის განხორციელების ეტაპზე - ძირითადი კითხვები?

- ითვალისწინებს თუ არა გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი გაცემული გრანტის მონიტორინგის ვალდებულებას და მონიტორინგის მექანიზმებს?
- ახორციელებს თუ არა გრანტის გამცემი საჯარო ინსტიტუცია გაცემული გრანტების მონიტორინგს?
- ითვალისწინებს თუ არა გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი გრანტის მიმღებთან ხელშეკრულების დადების ვალდებულებას? როგორია ამ მხრივ პრაქტიკა?
- განსაზღვრულია თუ არა საგრანტო ხელშეკრულებით მონიტორინგის ვალდებულება, მექანიზმები და შედეგების შეფასების სისტემა?
- ითვალისწინებდა თუ არა საგრანტო ხელშეკრულება პროგრამის/პროექტის შესრულების ფინანსური და პროგრამული ანგარიშგების მექანიზმებს - შუალედური და საბოლოო პროგრამული ანგარიშები, ფინანსური ანგარიში, აუდიტის დასკვნა?
- ითვალისწინებს თუ არა გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი ან/და საგრანტო ხელშეკრულება, გრანტის პირობების/ხელშეკრულების პირობების დარღვევისას, გრანტის მიმღების პასუხისმგებლობის საკითხს? და როგორია ამ მხრივ პრაქტიკა?

[19] დანართში #9 მოცემულია საჯარო ინსტიტუციის მიერ გრანტების განხორციელების მონიტორინგის ეტაპზე საჭირო დოკუმენტაციისა და მონიტორინგის მეთოდების ვიზუალიზაცია.

- ითვალისწინებს თუ არა გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი მონიტორინგის განხორციელების გეგმისა და მეთოდოლოგიის შემუშავების ვალდებულებას?
- ჰქონდა თუ არა გრანტის გამცემს შემუშავებული და დამტკიცებული გრანტის განხორციელების მონიტორინგის გეგმა და მეთოდოლოგია? რამდენად იყენებდა მონიტორინგის განხორციელების გეგმას და მეთოდოლოგიას?
- ითვალისწინებს თუ არა გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი გრანტის განხორციელების შესახებ ინფორმაციის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის მექანიზმებს?
- რამდენად ხელმისაწვდომი იყო ინფორმაცია პროექტის განხორციელების (მათ შორის ცვლილებების) შესახებ დაინტერესებული პირებისთვის? რა ფორმით იყო ხელმისაწვდომი ეს ინფორმაცია?
- შევიდა თუ არა ცვლილებები საგრანტო ხელშეკრულებაში, და რა იყო ამის მიზეზი?

დოკუმენტების ნუსხა - რა დოკუმენტები უნდა მოვიძიოთ და დავამუშავოთ გრანტების განხორციელების პროცესის მონიტორინგისას?

1. სამართლებრივი აქტი რომლითაც განისაზღვრება გრანტის გაცემის წესი
2. გრანტის გამცემი ინსტიტუციის მიერ გრანტთან დაკავშირებით მიღებული სამათლებრივი აქტები და დოკუმენტები (არსებობის შემთხვევაში)
3. გრანტის გამცემსა და გრანტის მიმღებს შორის დადებული საგრანტო ხელშეკრულება
4. გრანტის შესრულების ანგარიშები - ფინანსური და პროგრამული (შუალედური და საბოლოო, არსებობის შემთხვევაში)
5. გრანტის აუდიტი (არსებობის შემთხვევაში)
6. გრანტის გამცემი ინსტიტუციის მიერ შემუშავებული პროექტის განხორციელების მონიტორინგის გეგმა და მეთოდოლოგია
7. პროექტის განხორციელების მონიტორინგის დასკვნები
8. საგრანტო დაფინანსების ცვლილების ან შეწყვეტის დამადასტურებელი დოკუმენტები - გრანტის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი ორგანოს შესაბამისი სხდომის ოქმები, გადაწყვეტილებები

რას უნდა მივაქციოთ ყურადღება ჩამოთვლილ დოკუმენტებში?

გრანტის გაცემის მარეგულირებელ სამართლებრივ აქტში, ასევე, გრანტის გამცემსა და გრანტის მიმღებს შორის დადებულ საგრანტო ხელშეკრულებაში მნიშვნელოვანია დავაკვირდეთ მუხლებს, რომლებიც ძირითადად ეხება **საგრანტო ხელშეკრულების შინაარსს, მონიტორინგს და საგრანტო დაფინანსების ცვლილების/შეწყვეტის პირობებს** და შემდგომ შევაფასოთ თუ რამდენად ჯეროვნად ახორციელებდა გრანტის გამცემი საჯარო ინსტიტუცია პროექტის შესრულების მონიტორინგს.

იმ შემთხვევაში თუ გრანტის გამცემმა სახელმწიფო ინსტიტუციამ მოგაწოდათ მის მიერ შემუშავებული ცალკეული პროექტის განხორციელების მონიტორინგის დასკვნები,

შეგიძლიათ შეამოწმოთ, რამდენად იყენებდნენ ხელშეკრულებით, ან პროექტის შეფასების მეთოდოლოგიით გათვალისწინებულ მონიტორინგის მეთოდოლოგიას და მექანიზმებს.

კვლევის რა მეთოდები შეგვიძლია გამოვიყენოთ მონიტორინგის განსახორციელებლად?

1. **სამაგიდო კვლევა (დოკუმენტაციის შესწავლა).**

გრანტების განხორციელების მონიტორინგის ეტაპთან დაკავშირებული დოკუმენტები და ინფორმაცია შესაძლებელია შემდეგი გზებით მოვიძიოთ:

- ✓ გრანტის გამცემის ვებგვერდის შესაბამისი განყოფილება
- ✓ გრანტის გამცემისგან საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით.
- ✓ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა (თუ ინფორმაციის ამ ფორმით გამოქვეყნება განსაზღვრულია გრანტის გამცემისთვის)

2. **ინტერვიუ** გრანტის გამცემი საჯარო ინსტიტუციის წარმომადგენლებთან, გრანტის მიმღებთან, საკითხზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებთან.

4.3.2. საგრანტო პროგრამის და გრანტების ეფექტიანობის შეფასება

სახელმწიფო გრანტების განხორციელების მონიტორინგის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია, იმის გარკვევა თუ რამდენად ხდება გრანტის გამცემი ინსტიტუციების მიერ განხორციელებული საგრანტო პროგრამების შეფასება. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, მოხდეს იმის დადგენა თუ რამდენად ახდენს გრანტის გამცემი კონკრეტული დაფინანსებული პროექტების შედეგიანობის შეფასებას, ხოლო მეორე მხრივ, რამდენად ფასდება მის მიერ კონკრეტული პერიოდის საგრანტო პროგრამის ეფექტიანობა.

მონიტორინგის განმახორციელებელი პირი ამ ეტაპზე აკვირდება, გააჩნია თუ არა გრანტის გამცემს, განხორციელებული საგრანტო პროგრამების შედეგიანობისა და ეფექტიანობის შეფასების გაწერილი პროცედურა და რამდენად ხდება მისი პრაქტიკაში გამოყენება. ამდენად, ეფექტიანობის შეფასების მონიტორინგი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რომლის საშუალებითაც მონიტორინგის განმახორციელებელი პირი მიიღებს ინფორმაციას საჯარო ინსტიტუციის მიერ გაცემული გრანტების შედეგების შესახებ.[20]

[20] დანართში #9 მოცემულია საჯარო ინსტიტუციის მიერ გრანტების განხორციელების მონიტორინგის ეტაპზე საჭირო დოკუმენტაციისა და მონიტორინგის მეთოდების ვიზუალიზაცია.

რას მივაქციოთ ყურადღება გრანტების ეფექტიანობის მონოტორინგის ეტაპზე - ძირითადი კითხვები?

- ითვალისწინებს თუ არა გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი საგრანტო პროგრამის ეფექტიანობის შეფასებას? შეფასების მექანიზმებს?
- ითვალისწინებს თუ არა საგრანტო პროგრამა შეფასების ინდიკატორებს და შეფასების პროცესის განხორციელების საკითხებს?
- ითვალისწინებს თუ არა გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი გაცემული გრანტების ეფექტიანობის შეფასებას? ამ შეფასების მექანიზმებს?
- განსაზღვრულია თუ არა საგრანტო ხელშეკრულებით გრანტის ეფექტიანობის შეფასება და შესაბამისი შეფასების მექანიზმები? რა სიხშირით უნდა განხორციელდეს გრანტის ეფექტიანობის შეფასების განხორციელება?
- აფასებს თუ არა გრანტის გამცემი საჯარო ინსტიტუცია რამდენად მიღწეული იქნა გრანტის წინასწარ განსაზღვრული მიზნები?
- აფასებს თუ არა გრანტის გამცემი საჯარო ინსტიტუცია გრანტის შედეგების შესაბამისობას საგრანტო პროგრამის გაცხადებულ მიზნებთან?
- აფასებს თუ არა გრანტის გამცემი ინსტიტუცია გრანტის ბენეფიციართა კმაყოფილებას?
- ითვალისწინებს თუ არა გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი გრანტის პროგრამული და ფინანსური შეფასებების მეთოდოლოგიის შემუშავების ვალდებულებას? მსგავსი შეფასებების განხორციელებას? და როგორია ამ მხრივ პრაქტიკა?
- გაითვალისწინა თუ არა გრანტის გამცემმა გრანტის ეფექტიანობის შეფასების შედეგები ახალ საგრანტო პროგრამაში რეკომენდაციების სახით?
- ხელმისაწვდომია თუ არა გრანტების შეფასების შედეგები დაინტერესებული პირებისთვის?
- ხელმისაწვდომია თუ არა საგრანტო პროგრამის შეფასების შედეგები დაინტერესებული პირებისთვის?

დოკუმენტების ნუსხა - რა დოკუმენტები უნდა მოვიძიოთ და დავამუშავოთ გრანტების ეფექტიანობის შეფასების მონიტორინგისას?

1. სამართლებრივი აქტი რომლითაც განსაზღვრულია გრანტის გაცემის წესი
2. გრანტის გამცემი საჯარო ინსტიტუციის საგრანტო პროგრამა
3. გრანტის გამცემი საჯარო ინსტიტუციის მიერ გრანტთან დაკავშირებით მიღებული სამათლებრივი აქტები და დოკუმენტები (არსებობის შემთხვევაში)
4. გრანტის გამცემსა და გრანტის მიმღებს შორის დადებული საგრანტო ხელშეკრულება
5. გრანტის საბოლოო პროგრამული და ფინანსური ანგარიში
6. გრანტის ეფექტიანობის შეფასების დოკუმენტი და სხვა

კვლევის რა მეთოდები შეგვიძლია გამოვიყენოთ მონიტორინგის განსახორციელებლად?

1. **სამაგიდო კვლევა (დოკუმენტაციის შესწავლა).**

შესაბამისი **ნორმატიული აქტების** (კანონები, კანონქვემდებარე აქტები, ბრძანებები, დებულებები, ა.შ), ისევე როგორც გრანტის გაცემის წესის მოძიება შესაძლებელია სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე"-ს ოფიციალურ ვებსაიტზე - matsne.gov.ge. გარდა ამისა, ამ სამართლებრივი აქტების მოძიება შესაძლებელია გრანტის გამცემი ინსტიტუციის ვებგვერდზე.

საგრანტო პროგრამა, ინდივიდუალური აქტები და გრანტის გაცემის პროცესის ამ ეტაპზე მიღებული გადაწყვეტილებები შესაძლებელია შემდეგი გზებით მოვიძიოთ:

- ✓ გრანტის გამცემის ვებგვერდზე
- ✓ გრანტის გამცემისგან საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით
- ✓ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა (თუ ინფორმაციის ამ ფორმით გამოქვეყნება არის დადგენილი გრანტის გამცემისთვის)

საგრანტო პროგრამის შექმნისას გამოყენებული კვლევები, სტატისტიკური თუ სხვა ტიპის მონაცემები შესაძლებელია და მიზანშეწონილია მოპოვებული იყოს სახელმწიფო გრანტების გამცემი ინსტიტუციებიდან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის გზით.

3. **ინტერვიუების ჩატარება** გრანტის გამცემი საჯარო ინსტიტუციის წარმომადგენლებთან, სხვადასხვა დონის მენეჯერთან და საგრანტო პროგრამის შექმნაზე პასუხისმგებელ პირთან. ინტერვიუსთვის შეიძლება ზემოთხსენებული კითხვების გამოყენება.[21]
4. **ფოკუს ჯგუფი** - გრანტის გამცემი სახელმწიფო ინსტიტუციის წარმომადგენლებთან, საგრანტო პროექტების ბენეფიციარებთან.[22]

[21] ინტერვიუს ჩატარების დეტალური ინსტრუქცია იხილეთ მეთოდების თავში
[22] ფოკუს ჯგუფის ჩატარების დეტალური ინსტრუქცია იხილეთ მეთოდების თავში

5. მეთოდები

სახელმწიფო გრანტების მონიტორინგისთვის, მონიტორინგის განმახორციელებელ პირს, კვლევისა და ინფორმაციის მოპოვების რამდენიმე მეთოდის გამოყენება შეიძლება დაჭირდეს. ამ ქვეთავში განხილულია რამდენიმე მათგანი:

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- ინტერვიუ
- ფოკუს ჯგუფი

5.1. საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა

რა არის საჯარო ინფორმაცია?

საჯარო ინფორმაცია არის საჯარო დაწესებულებაში დაცული, საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია.

საჯარო ინფორმაცია შეიძლება იყოს სხვადასხვა ფორმის - ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები.[23]

ვის შეუძლია საჯარო ინფორმაციის მოთხოვა?

- საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა შეუძლია ნებისმიერ პირს.
- მოთხოვნა შიძლება გაიგზავნოს თქვენი ან იმ ორგანიზაციის სახელით, რომელსაც წარმოადგენთ.

[23] საჯარო ინფორმაციის გამოთხოვისა და სხვა საჭირო ინფორმაცია შეგიძლიათ დეტალურად იხილოთ გზამკვლევში: თ. ტურაშვილი & ი. გოგავა, „ელექტრონული ჩართულობის სახელმძღვანელო". *ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"*, თბილისი, 2015.

ვისზე ვრცელდება საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულება?

ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსა და დაწესებულებაზე

საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა)

ნებისმიერ სხვა პირზე, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს

კერძო სამართლის ნებისმიერ იურიდიულ პირზე სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების ფარგლებში.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია **წერილობითი, ისევე როგორც ელექტრონული სახით**.

საჯარო ინფორმაციის წერილობითი გამოთხოვა

ამ გზით საჯარო ინფორმაციის გამოთხოვისთვის საჭიროა გაამზადოთ სასურველი წერილი და საჯარო დაწესებულის მისამართზე გააგზავნოთ ფოსტით. ასევე, შეგიძლიათ წერილი მიიტანოთ კონკრეტული საჯარო დაწესებულების მისამართზე პირადად. ამ შემთხვევაში, აუცილებლად შეინახეთ წერილის **რეგისტრაციის/ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი.**

შენიშვნა

წერილში აუცილებელი არ არის აღნიშნოთ თქვენი მოთხოვნის **მიზანი.** ასევე, უფლება გაქვთ აირჩიოთ საჯარო ინფორმაციის **მიღების ფორმა (ელექტრონული, დოკუმენტის ასლი, ადგილზე გაცნობა)**, რაც შეგიძლიათ საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის წერილში დააკონკრეტოთ. მაგალითად, თუ გსურთ, რომ სასურველი ინფორმაცია ელექტრონული ფორმით მიიღოთ, საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ განცხადებაში შეგიძლიათ მიუთითოთ, რომ ინფორმაციის ელექტრონულად მიღება გსურთ და მიუთითოთ შესაბამისი ელფოსტის მისამართი.

საჯარო ინფორმაციის ელექტრონული გამოთხოვა

საქართველოს მთავრობის 26 აგვისტოს **№219** დადგენილებით - *„საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“*, განისაზღვრა ცენტრალური საჯარო დაწესებულებებიდან საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად მოთხოვნის წესი. დადგენილება ვრცელდება შემდეგ სახელმწიფო ინსტიტუციებზე:

- საქართველოს მთავრობის კანცელარია;
- საქართველოს სამინისტროები;
- საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატები;
- სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები;
- საქართველოს სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირები;
- საქართველოს მთავრობის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალური დანიშნულების გასამხედროებული დაწესებულებები.

საჯარო ინფორმაციის ელექტრონული **მოთხოვნის სამი გზა არსებობს:**

1. დაწესებულების ვებგვერდი

ამ შემთხვევაში, საჭიროა შეხვიდეთ ნებისმიერი ზემოთხსენებული სახელმწიფო ინსტიტუციის ვებსაიტზე და მოძებნოთ შემდეგი განყოფილება - **„მოითხოვე საჯარო ინფორმაცია“**.

შემდგომ, შეიყვანთ თქვენ შესახებ ინფორმაციას (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ელ-ფოსტა, ტელეფონი, მისამართი), დაწერთ მოთხოვნის ტექსტს, დააჭერთ გაგზავნას, რის შემდეგაც თქვენი წერილი შესაბამის დაწესებულებაში ონლაინ გაიგზავნება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის ყველა სამთავრობო დაწესებულებას აღნიშნული განყოფილება საკუთარ ვებსაიტებზე დანერგილი არ აქვს.

შენიშვნა
დიდი მნიშვნელობა აქვს მოთხოვნის **სწორად, გარკვევით და დეტალურად** ჩამოყალიბებას. მოთხოვნის არაზუსტი ფორმულირება ხშირად საშუალებას უტოვებს ადმინისტრაციულ ორგანოს, თავი აარიდოს ამომწურავი პასუხის გაცემას და შემოიფარგლოს ზოგადი პასუხით. საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს ის ინფორმაცია, რაც წერია თქვენს მოთხოვნაში.

2. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის ელ-ფოსტა

ყველა სახელმწიფო ინსტიტუცია ვალდებულია ჰყავდეს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი. თქვენ შეგიძლიათ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა გააგზავნოთ ამ საჯარო მოხელის ელ-ფოსტაზე და ამ გზით მიიღოთ სასურველი საჯარო ინფორმაცია.[24] მისი საკონტაქტო ინფორმაცია - სახელი, გვარი, თანამდებობა, ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტა, მითითებულია შესაბამისი დაწესებულების ოფიციალურ ვებსაიტზე, საჯარო ინფორმაციის განყოფილებაში.

3. მოქალაქის პორტალი – MY.GOV.GE

აღნიშნული საშუალების გამოსაყენებლად, ID ბარათის წამკითხველით უნდა დარეგისტრირდეთ მოქალაქის პორტალზე - MY.GOV.GE. მისი არქონის შემთხვევაში, ეწვიეთ იუსტიციის სახლს, სადაც მიიღებთ პაროლს, რომლის მეშვეობით გაივლით ავტორიზაციას პორტალზე.

პორტალზე შესვლის შემდეგ მიუთითეთ საჯარო დაწესებულება, თქვენი მოთხოვნა და დააჭირეთ გაგზავნას. ოპერაციის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, თქვენს ელფოსტაზე მიიღებთ დასტურის წერილს.

საჯარო ინფორმაციის მიღება

საჯარო დაწესებულება ვალდებულია, გასცეს საჯარო ინფორმაცია **დაუყოვნებლივ.** კანონით განმარტებული არ არის დაუყოვნებლივ გაცემის ცნება. ამიტომაც, შეიძლება ჩაითვალოს, რომ ინფორმაცია უნდა გაიცეს გონივრულ ვადებში - იმავე დღეს, ან საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის განცხადების რეგისტრაციიდან მეორე დღეს.

საქართველოს კანონმდებლობით, განსაზღვრულია ისეთი გარემოებები, რომელთა შემთხვევაშიც საჯარო დაწესებულებას მოთხოვილი საჯარო ინფორმაციის გაცემა არა უგვიანეს 10 დღის განმავლობაში ევალება. ასეთი **შემთხვევა სულ სამია, როცა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს**:

[24] საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ საჯარო მოხელეთა ყველაზე ბოლოს განახლებული ბაზა შეგიძლიათ იხილოთ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის ვებგვერდზე: „საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირთა მონაცემთა ბაზა“, *ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი*, 7 ივლისი, 2014.

1.



2.



3.



- ✓ გახსოვდეთ, რომ თუ საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის საჯარო დაწესებულებას 10 დღიანი ვადა ესაჭიროება, **ვალდებულია წინასწარ გაცნობოთ.**

- ✓ თუ ინფორმაციის მოთხოვნის დროს, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის წერილში მიუთითეთ, რომ სასურველი ინფორმაციის მიღება ელექტრონულად გსურთ, **მოთხოვნილი მონაცემები/დოკუმენტები მითითებულ ელ-ფოსტაზე მოგივათ.**

5.2. (ნახევრად სტრუქტურირებული) ინტერვიუ[25]

მიზანი: ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ პატარა შერჩევისას თვისებრივი ინფორმაციის მისაღებად გამოიყენეთ. ეს მეთოდი კარგია დამატებით ინფორმაციის მისაღებად იმ პრობლემების შესახებ, რომლებიც ზედაპირზე არ ჩანს, მაგრამ ზოგიერთ სფეროში ან მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფში აქტუალურია. იმავდროულად, ეს მეთოდი განსხვავებული მოსაზრებების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, სპეციფიკური მდგომარეობის შესასწავლად ან სხვა წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის გადასამოწმებლად გამოიყენება.

ჯგუფის ზომა: ერთი ერთზე (პირისპირ)
დრო: 1-3 საათი

[25] ე. შპეიხ-ბაერი, „სოციალური ცვლილებების მართვა: პროექტის მართვის სახელმძღვანელო“, რედ. ი. გაბუნია *et.al, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი,* გვ. 42-43
http://civilin.org.ge/pdf/Drive_Social_Change_geo.pdf

მომზადება: ინტერვიუს სახელმძღვანელო, რესპონდენტების იდენტიფიცირება, ადგილისა და დროის შეთანხმება, რესპონდენტებისათვის ინტერვიუს შესახებ ინფორმაციის მიწოდება - მნიშვნელოვანია იცოდეთ, ვის ესაუბრებით და რატომ?! რესპონდენტმა უნდა იგრძნოს, რომ მისი აზრი ნამდვილად გაინტერესებთ. ინტერვიუს სახელმძღვანელოში ყველა ძირითადი კითხვისთვის განსაზღვრეთ დამატებითი ქვე-კითხვები და დამაზუსტებელი კითხვები. კითხვები უნდა იყოს ღია, იმავდროულად, გამოიყენეთ კითხვები რომლებიც შედარებასა და კონტრასტს შეეხება.

შენიშვნა

არ დაგაგვიანდეთ! დროულად მისვლა ყოველთვის მნიშვნე-ლოვანია. არასდროს ალოდი-ნოთ თქვენი რესპონდენტი

მასალები: კალამი, ქაღალდი, ან ხმის ჩამწერი (დიქტოფონი)

ფასილიტაციის პროცესი: წარუდგინეთ რესპონდენტს თქვენი თავი, გააცანით ინტერვიუს მიზანი, მოლოდინი და პროცესი, როგორ წარმართავთ ინტერვიუს. დააზუსტეთ ისეთი საკითხები, როგორებიცაა: დრო, ჩაწერა და როგორ გამოიყენებთ მიღებულ ინფორმაციას (კონფიდენციალურობა). ეს მეთოდი საშუალებას იძლევა, ინტერვიუ ნამდვილ საუბარში გადაიზარდოს. ინტერვიუსთვის უმნიშვნელოვანესია, შექმნას და შეინარჩუნოს ისეთი ატმოსფერო, რომ რესპონდენტს თავისუფლად საუბრის საშუალება მისცეს. თავდაპირველად მოკლე და მარტივი თემით დაიწყეთ (მაგ.: სურათი ან სუვენირი, რომელმაც რესპონდენტის ოფისში თქვენი ყურადღება მიიქცი, ხედი ფანჯრიდან ან ბოლო სახალხო დღესასწაული, სპორტული ღონისძიება ან მსგავსი ნებისმიერი თემა), რომელიც თქვენსა და რესპონდენტს შორის ყინულის გალღობას შეუწყობს ხელს და ერთგვარ ფამილარულ გარემოს შექმნის. ინტერვიუს დროს ბევრი კითხვის ერთდროულად დასმისგან თავი შეიკავეთ. იყავით ზუსტი, ზრდილობიანი და რესპონდენტის ნათქვამი თქვენი სიტყვებით გაიმეორეთ (პერიფრაზი), რათა აგრძნობინოთ, რომ უსმენთ და მისი პოზიცია გესმით. საუბრის ძირითადი პოსტულატები და რესპონდენტის მიერ გამოთქმული საინტერესო ციტატები ჩაინიშნეთ.

შედეგები და შემდგომი ნაბიჯები: გააკეთეთ ინტერვიუს ტრანსკრიპტი და შეაჯამეთ ძირითადი არსი.

5.3. ფოკუს-ჯგუფი[26]

მიზანი: განსხვავებული მსჯელობების, აზრის, ხედვის, წუხილის, ღირებულებებისა და ა.შ. შესახებ ინფორმაციის მიღება დაგეგმილი და ჩარჩოში მოქცეული დისკუსიის გზით. ფოკუს-ჯგუფში დისკუსია ძალიან სასარგებლოა უკვე მიღებული ინფორმაციის გადასამოწმებლად.

ჯგუფის ზომა: 5-15

დრო: 1-2 საათი

[26] ე. შპეიხ-ბაერი, „სოციალური ცვლილებების მართვა: პროექტის მართვის სახელმძღვანელო“, რედ. ი. გაბუნია *et.al, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი,* http://civilin.org.ge/pdf/Drive_Social_Change_geo.pdf

მომზადება: 2-5 ძირითადი დებულება ან თემატური კითხვა დისკუსიის დასაწყებად - თითოეული უნდა მოიცავდეს იმ ასპექტებს, რომელთა შესახებაც გსურთ, რომ რესპონდენტმა ისაუბროს. მონაწილეების შერჩევისას ყურადღება გაამახვილეთ იმ მონაწილეებზე, რომლებსაც ეს კონკრეტული საკითხები აინტერესებთ და ერთმანეთთან ამ საკითხებზე ღიად საუბარი შეუძლიათ!
გაითვალისწინეთ კომუნიკაციის სავარაუდო ბარიერები: სქესი, ასაკი, იერარქია, სოციალური ან ეკონომიკური სტატუსი და ა.შ.

მასალები: ოთახი და სკამები, სავარაუდოდ, კიდევ ერთი თანამშრომელი შენიშვნების ჩასაწერად ან ხმის ჩამწერი (დიქტოფონი), თუ მონაწილეები თანახმანი არიან.

ფასილიტაციის პროცესი: ახსენით დისკუსიის მიზანი და რას მოელით ამ დისკუსიისგან. ახსენით, როგორ წარმართავთ პროცესს, როგორ გამოიყენებთ მიღებულ ინფორმაციას. დისკუსიის წესები ჯგუფთან შეათანხმეთ. გააცანით თემის შესახებ ინფორმაცია და დაიწყეთ პირველი განაცხადით ან კითხვით.
თქვენი კითხვები უნდა იყოს ღია. თავი აარიდეთ უბრალო კითხვას „რატომ?" უმჯობესია, ჯერ მდგომარეობა აღწეროთ და მერე იკითხოთ: „თქვენ რას გააკეთებდით?" „როგორი იქნებოდა თქვენი რეაქცია?" „რა რეკომენდაცია გექნებოდათ?" წაახალისეთ მონაწილეები, განავრცონ მსჯელობა და დაასახელონ კონკრეტული მაგალითები. თავად არასდროს შესთავაზოთ პასუხი. გადაამოწმეთ მონაწილეებთან, რამდენად სწორად გესმით მათი აზრები. ეცადეთ, გააკეთოთ პერიფრაზი, გამოიყენეთ სხვა სიტყვები და დაადასტურებინეთ მონაწილეებს. აუცილებლად ჩაინიშნეთ მონაწილეების მიერ გამოთქმული აზრები. გამოიყენეთ მათი ლექსიკა და მოინიშნეთ მონაწილეების გამონათქვამები. იმავდროულად, შეეცადეთ, ჩანიშვნებში ასახოთ ჯგუფის რეაქციებიც, მაგალითად, თავის დაქნევა დასტურის ნიშნად.

შედეგები და შემდგომი ნაბიჯები: დისკუსიის ბოლოს შეაჯამეთ ან რომელიმე მონაწილეს სთხოვეთ, შეაჯამოს და გააკეთოს დასკვნა. ფოკუს-ჯგუფის დასრულებისას მოინიშნეთ ჯგუფის განლაგება, გადაამოწმეთ დიქტოფონის ჩანაწერი, გადახედეთ შენიშვნებს და შეავსეთ, თუ კი რამეა დასამატებელი (თემატიკა, რეაქციები, ქცევები და სხვა). შემდგომ, შეხვედრის ტრანსკრიპტის ან შენიშვნების საფუძველზე, მოამზადეთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ყველა საკვანძო კითხვას, მონაწილეების მოსაზრებას, მნიშვნელოვან გამონათქვამებსა და თქვენს კომენტარებს.

მონიტორინგისთვის საჭირო მეთოდების ეფექტურად გამოყენებისა და აქტივობების თანმიმდევრულად წარმართვისთვის, შეგიძლიათ გამოიყენოთ დანართი #11.

ამავდროულად, მონიტორინგის ანგარიშის მოსამზადებლად მიჰყევით დანართში #10 მოცემულ ინსტრუქციებსა და რჩევებს.

6. დანართები

დანართი #1 (სამართლებრივი აქტების სია)

სახელმწიფო გრანტების გაცემის ჩარჩო სამართლებრივი აქტები	
1	„საქართველოს კანონი გრანტების შესახებ“
2	„სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონი;
3	„სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“ საქართველოს კანონი;
4	„მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი
5	„ინოვაციების შესახებ“ საქართველოს კანონი
6	„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი
7	საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 მარტის N126 დადგენილება „აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი დაწესებულებებისა და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ გრანტებთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	
1	საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 დეკემბრის N389 დადგენილება „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“;
2	საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის N160 ბრძანება „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში გრანტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“;
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	
1	საქართველოს მთავრობის 2008 წლის 22 თებერვლის N34 დადგენილება „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“;
2	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2015 წლის 18 თებერვლის N246 ბრძანება „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სისტემაში გრანტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“;
სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი	
1	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 3 თებერვლის N7/2012 დადგენილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“;
სსიპ - დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო	
1	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვითა მინისტრის 2016 წლის 28 აპრილის #1797 ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“;
2	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვითა მინისტრის 2016 წლის 30 სექტემბრის #2883 ბრძანება „სსიპ „დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს“ მიერ გრანტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“;
3	საქართველოს მთავრობის 2016 წლის 16 აგვისტოს N401 დადგენილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს გრანტის გამცემად განსაზღვრის შესახებ“

სსიპ „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი	
1	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 29 დეკემბრის N163/ნ ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დაფუძნებისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“;
2	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 7 თებერვლის N19/ნ ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გრანტების გაცემის წესის, საგრანტო კონკურსის დებულებისა და საგრანტო პროექტების შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“;
3	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 13 ივნისის ბრძანება N106/ნ „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგრანტო კონკურსის დებულებისა და საგრანტო პროექტების შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“
4	საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 ნოემბრის N525 დადგენილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გრანტის გამცემად განსაზღვრის შესახებ“
სსიპ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო	
1	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2014 წლის 5 მარტის №1- 1/66 ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“;
2	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2014 წლის 1 ოქტომბრის N1-1/282 ბრძანება “საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ გრანტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“;
3	საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 სექტემბრის N1554 განკარგულება „„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს გრანტის გამცემად განსაზღვრის შესახებ“
სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო	
1	საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 13 ივლისის N117 ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“;
2	საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 23 აგვისტოს N152 ბრძანება „სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ გრანტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“
სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი	
1	საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის ბრძანება №62/ნ
2	საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 მარტის N131 დადგენილება „სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გრანტების გაცემის წესის, საგრანტო კონკურსების დებულებებისა და საგრანტო პროექტების შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე
3	ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის №84 დადგენილება
4	გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის №85 დადგენილება
5	მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის №86 დადგენილება
6	საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების კონფერენციის საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 9 ივნისის №57/ნ ბრძანება
7	საქართველოს მთავრობის 2010 წლის 10 სექტემბრის N273 დადგენილება „სამეცნიერო გრანტების გაცემის უფლებამოსილების მქონე საჯარო სამართლის იურიდიული პირის განსაზღვრის შესახებ“

სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი	
1	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის N107/ნ ბრძანება „„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“
2	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 16 იანვრის N01-3/ნ ბრძანება „სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ სამეცნიერო გრანტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“
3	საქართველოს მთავრობის 2014 წლის 11 სექტემბრის N543 დადგენილება „„სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო გრანტის გამცემად განსაზღვრის თაობაზე“

დანართი #2 (გრანტის გამცემი საქართველოს სამინისტროები (2017 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით))

საბიუჯეტო სახსრების ფარგლებში გრანტის გამცემი საქართველოს სამინისტროები			
	სამინისტროს დასახელება	**გრანტის გაცემის საფუძველი**	**გრანტის მიზნობრიობა/მიმღები**
1	**საქართველოს იუსტიციის სამინისტრო**	„გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონი - მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი; საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 დეკემბრის N389 დადგენილება „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის N160 ბრძანება „საქართველო იუსტიციის სამინისტროს სისტემაში გრანტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“.	**მიმართულება:** სამინისტროს სისტემის კომპეტენციის სფეროში აქტუალური და საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად გრანტების გაცემა **მიმღები:** ა(ა)იპ ან/და მისი ფილიალი
	სამინისტროს დასახელება	**გრანტის გაცემის საფუძველი**	**გრანტის მიზნობრიობა/მიმღები**
2	**საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო**	„გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონი - მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2015 წლის 18 თებერვლის N246 ბრძანება „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სისტემაში გრანტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“	**მიმართულება:** სამინისტროს სისტემის კომპეტენციის სფეროში აქტუალური და საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად გრანტების გაცემა - ემიგრაციიდან დაბრუნებული საქართველოს მოქალაქეებისათვის პირველადი სამედიცინო დახმარება და მედიკამენტებით უზრუნველყოფა, პროფესიული და კვალიფიკაციის გადამზადების კურსების ან კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ანაზღაურებადი სტაჟირებისა და სოციალური პროექტების დაფინანსება **მიმღები:** ა(ა)იპ ან/და მისი ფილიალი

	სამინისტროს დასახელება	გრანტის გაცემის საფუძველი	გრანტის მიზნობრიობა/მიმღები
3	**საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო**	„გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონი - მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი;	**მიმართულება:** სამინისტროს სისტემის კომპეტენციის სფეროში აქტუალური და საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად გრანტების გაცემა **მიმღები:** ფიზიკური პირი, ა(ა)იპ
	სამინისტროს დასახელება	**გრანტის გაცემის საფუძველი**	**გრანტის მიზნობრიობა/მიმღები**
4	**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 21 თებერვლის N31/ნ ბრძანება „მოსწავლეთათვის საგანმანათლებლო, კულტურული, სახელოვნებო, შემოქმედებითი, სასპორტო, შემეცნებითი ღონისძიებების ჩასატარებლად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაზე გრანტის გაცემის მიზნით საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების თაობაზე“ - მუხლი 1	**მიმართულება:** მოსწავლეთათვის საგანმანათლებლო, კულტურული, სახელოვნებო, შემოქმედებითი, სასპორტო, შემეცნებითი ღონისძიებების ჩასატარებლად გრანტის გაცემა **მიმღები:** სსიპ-ის ფორმით არსებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება.

დონორიდან მიღებული დაფინანსების ფარგლებში გრანტის გამცემი საქართველოს სამინისტროები			
	სამინისტროს დასახელება	**გრანტის გაცემის საფუძველი**	**გრანტის მიზნობრიობა/მიმღები**
1	**საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო**	„გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონი - მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი;	**მიმართულება:** სამინისტროს სისტემის კომპეტენციის სფეროში აქტუალური და საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად გრანტების გაცემა **მიმღები:** ფიზიკური პირი, ა(ა)იპ
	სამინისტროს დასახელება	**გრანტის გაცემის საფუძველი**	**გრანტის მიზნობრიობა/მიმღები**
2	**საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო**	„გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონი - მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი;	**მიმართულება:** სამინისტროს სისტემის კომპეტენციის სფეროში აქტუალური და საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად გრანტების გაცემა, მათ შორის კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვა და ხელშეწყობა, კულტურის შესაბამისი დარგების განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა და პოპულარიზაცია, კულტურის პოპულარიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა **მიმღები:** ფიზიკური პირი

დანართი #3 (გრანტის გამცემი სსიპ-ები (2017 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით))

გრანტის გამცემი საჯარო სამართლის იურიდიული პირები რომლებიც გრანტს გასცემენ ა(ა)იპ-ებზე			
	სსიპ-ის დასახელება	**გრანტის გაცემის საფუძველი**	**გრანტის მიზნობრიობა/მიმღები**
1	**სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი** *სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი* - საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ საქართველოს კანონი - მუხლი 30[1] ცენტრის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ.ბ“ ქვეპუნქტი	**მიმართულება:** პარტიების განვითარების ხელშეწყობა, ამომრჩეველთა სამოქალაქო განათლება და ამ მიზნით გრანტების გაცემა **მიმღები:** ა(ა)იპ
	სსიპ-ის დასახელება	**გრანტის გაცემის საფუძველი**	**გრანტის მიზნობრიობა/მიმღები**
2	**სსიპ - დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო**[27] *სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი* - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	„გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონი - მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს მთავრობის 2016 წლის 16 აგვისტოს N401 დადგენილება; სააგენტოს დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი და მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი	**მიმართულება:** დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის მიზნით, საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით გრანტების გაცემა **მიმღები:** ფიზიკური პირი და ა(ა)იპ
	სსიპ-ის დასახელება	**გრანტის გაცემის საფუძველი**	**გრანტის მიზნობრიობა/მიმღები**
3	**სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი** *სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი* - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	„გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონი“ - მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 ნოემბრის N525 დადგენილება; ცენტრის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტი და მე-3 პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტი	**მიმართულება:** ქვეყანაში განხორციელებული რეფორმებისა და ინოვაციების პოპულარიზაციისა და საერთაშორისო საზოგადოებაში მათი დამკვიდრების ხელშეწყობის გზით განათლების სფეროში სწავლა-სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად გრანტების გაცემა **მიმღები:** ა(ა)იპ - მასწავლებელთა გაერთიანება; განათლების სფეროში მოქმედი ა(ა)იპ და სსიპ
	სსიპ-ის დასახელება	**გრანტის გაცემის საფუძველი**	**გრანტის მიზნობრიობა/მიმღები**

[27] საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის დადგენილებით, 2018 წლის 1 იანვრიდან იცვლება სააგენტოს სახელწოდება და იგი ყალიბდება შემდეგნაირად: „სსიპ - საარსებო წყაროების სააგენტო“. შესაბამისი ცვლილებები უნდა შევიდეს სააგენტოს დებულებაშიც.

4	**სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი** *სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი* - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	„გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონი“ - მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი; „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი - მუხლი 5^1 პირველი პუნქტის „ე“ქვეპუნქტი; საქართველოს მთავრობის 2010 წლის 10 სექტემბრის N273 დადგენილება; ფონდის დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი	**მიმართულება**: სხვადასხვა სამეცნიერო მიმართულებით სამეცნიერო გრანტების გაცემა **მიმღები:** სსიპ, ა(ა)იპ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, ფიზიკური პირი
	სსიპ-ის დასახელება	**გრანტის გაცემის საფუძველი**	**გრანტის მიზნობრიობა/მიმღები**
5	**სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო** *სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი* - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	„გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონი“ – მე-2 მუხლი, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი; „ინოვაციების შესახებ“ საქართველოს კანონი; საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 სექტემბრის N1554 განკარგულება.	**მიმართულება:** ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობა და ამ მიზნით გრანტების გაცემა **მიმღები:** მეწარმე სუბიექტი, ა(ა)იპ
	სსიპ-ის დასახელება	**გრანტის გაცემის საფუძველი**	**გრანტის მიზნობრიობა/მიმღები**
6	**სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი** *სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი* - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	„გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონი“ - მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი; „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი - მუხლი 5^1 პირველი პუქტის „ე“ქვეპუნქტი; საქართველოს მთავრობის 2014 წლის 11 სექტემბრის N543 დადგენილება; ცენტრის დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი; მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.	**მიმართულება:** სამეცნიერო კვლევების განხორციელების ხელშეწყობა და ამ მიზნით სამეცნიერო გრანტების გაცემა **მიმღები:** ფიზიკური პირი, სსიპ, ა(ა)იპ.

	სსიპ-ის დასახელება	გრანტის გაცემის საფუძველი	გრანტის მიზნობრიობა/მიმღები
7	**სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო** *სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი - საქართველოს იუსტიციის სამინისტრო*	„სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონი - მე-9 მუხლის მე-4 პუნქტი „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონი; სააგენტოს დებულების 55-ე მუხლის მე-4 პუნქტი	**მიმართულება:** სააგენტოს მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად (სააგენტოს მიზნებია: ქვეყნის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი პროექტებისა და რეფორმების მხარდაჭერა; სახელმწიფო მომსახურებების განვითარების ხელშეწყობა, ახალი და ინოვაციური სერვისების დანერგვა) **მიმღები:** ფიზიკური პირი, ა(ა)იპ ან მისი ფილიალი

შენიშვნა: ჩამოთვლილი სსიპ-ების გარდა, არსებობს სსიპ-ები, რომლებიც სხვადასხვა მიზნობრივი მიმართულებებით გასცემენ პროგრამულ დაფინანსებებს (სსიპ- ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი; სსიპ - საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი)

გრანტის გამცემი საჯარო სამართლის იურიდიული პირები რომლებიც გრანტს გასცემენ მხოლოდ მეწარმე სუბიექტებზე ან/და ფიზიკურ პირებზე			
	სსიპ-ის დასახელება	**გრანტის გაცემის საფუძველი**	**გრანტის მიზნობრიობა/მიმღები**
1	**სსიპ – განათლების საერთაშორისო ცენტრი** *სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი -* საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	„გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონი - მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს მთავრობის 2016 წლის 22 აპრილის N201 დადგენილება; ცენტრის დებულების მე-2 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი საქართველოს მთავრობის 2016 წლის 31 მარტის N574 დადგენილებით ცენტრს მიეცა უფლებამოსილება, 2016 წლის საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში გაეცა გრანტი „საქართველოს ახალგაზრდა ელჩების პროგრამის“ ფარგლებში	**მიმართულება:** საქართველოს მოქალაქეთათვის ან პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მფლობელთათვის, კონკურსის წესით გრანტის გაცემის გზით, საზღვარგარეთ განათლების მიღების/კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა **მიმღები:** ფიზიკური პირი
	სსიპ-ის დასახელება	**გრანტის გაცემის საფუძველი**	**გრანტის მიზნობრიობა/მიმღები**
2	**სსიპ - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო** *სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი -* საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო	„გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონი - მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი; „სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“ საქართველოს კანონი - მუხლი 8 პუნქტი 5 „ა[1]“ ქვეპუნქტი; საქართველოს მთავრობის 2016 წლის 2 თებერვლის N51 დადგენილება; სააგენტოს დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი	**მიმართულება:** სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიმართ სახელმწიფოს ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელება და ამ მიზნით გრანტების გაცემა **მიმღები:** კოოპერატივი

	სსიპ-ის დასახელება	გრანტის გაცემის საფუძველი	გრანტის მიზნობრიობა/მიმღები
3	**სსიპ – აწარმოე საქართველოში** (სახელწოდების შეცვლამდე -მეწარმეობის განვითარების სააგენტო) *სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი* - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	„გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონი - მე-9 მუხლი **შენიშვნა:** კანონი ითვალისწინებს გარდამავალ ეტაპზე, „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში გრანტების გაცემას, ამ პროგრამის მოქმედების ფარგლებში	**მიმართულება:** „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილის ფარგლებში სახსრების გაცემა **მიმღები:** მეწარმე სუბიექტები/მეწარმე სუბიექტთა ჯგუფები

დანართი #4 (საქართველოს სამინისტროებისა და სსიპ-ების მიერ, ა(ა)იპ-ებზე გაცემული გრანტები)

საქართველოს სამინისტროების მიერ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებზე გაცემული გრანტები

გრანტის გამცემი სამინისტრო	პერიოდი	სულ რამდენი პროექტი დაფინანსდა	სულ რამდენ ორგანიზაციაზე გაიცა გრანტი	თანხა	ძირითადი დანიშნულება
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	2013-2017 მაისი	55	36 ააიპ	713,445	დანაშაულის პრევენცია, ყოფილი მსჯავრდებულების რესოციალიზაცია, რეაბილიტაცია და ყოფილი მსჯავრდებულების ბიზნეს ინიციატივების მხარდაჭერა
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	2015-2017 მაისი	19	11	1,412,390	საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების სარეინტეგრაციო დახმარება და დევნილთა საარსებო წყაროების შექმნა/გაუმჯობესება
საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო	**2014-2017 მაისი**	N/A	10	67,600	მოხალისეობის ინსტიტუტის გაძლიერება, მოხალისეთა ერთიანი ქსელის შექმნა, ახალგაზრდებში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება და მოხალისეობით დაინტერესებული ახალგაზრდების გამოვლენა

საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებზე გაცემული გრანტები

გრანტების გამცემი სსიპ	პერიოდი	სულ რამდენი პროექტი დაფინანსდა	სულ რამდენ ორგანიზაციაზე გაიცა გრანტი	თანხა (ლარი)	ძირითადი დანიშნულება
სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი	2010-2017 23 მაისი	279	-- ააიპ	10,501,879	პარტიების განვითარების ხელშეწყობისა და ამომრჩეველთა სამოქალაქო განათლების
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი	2017 წელს 16 მაისამდე	--	4 ააიპ	26,528	მასწავლებლის პროფესიული სტანდარტებისათვის რეკომენდაციების შემუშავებაში მასწავლებელთა საგნობრივი გაერთიანებების ჩართულობა
სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	2011-2016	96	59 ააიპ	15,239,482	სამეცნიერო კვლევების განხორციელება
სსიპ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო	2016-2017 8 მაისი		4 ააიპ	17,600	ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობა
სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი	არ გაუცია	--	--	--	--
სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო	არ გაუცია	--	--	--	--

საქართველოს სამინისტროებისა და სსიპ-ების მიერ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებზე გაცემული გრანტების წლების მიხედვით

სამინისტროების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებიდან ა(ა)იპ-ებზე გაცემული/გადარიცხული გრანტების ჯამური ოდენობა (2017 წლის მაისის მდგომარეობით)							
N	საქართველოს სამინისტრო	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	ჯამი (ლარი)
1	იუსტიციის სამინისტრო	11,625	106,172	259,875	275,240	60,533	**713,445**
2	ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	-	-	389,832	845,558	177,000	**1,412,390**
3	სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო	-	-	67,600	-	-	**67,600**
ჯამი:		**11,625**	**106,172**	**717,307**	**1,120,798**	**237,533**	***2,193,435***

სსიპ-ების მიერ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებზე გაცემული/გადარიცხული გრანტების ჯამური ოდენობა (2017 წლის მაისის მდგომარეობით)										
N	სსიპ-ის დასახელება	2010 წელი	2011 წელი	2012 წელი	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	ჯამი (ლარი)
1	სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი	550,054	1,048,005	835,343	1,206,087	1,511,479	1,500,817	2,082,507	1,767,605	**10,501,897**
2	სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი	-	-	-	-	-	-	-	26,528	**26,528**
3	სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	-	2,043,473	2,968,982	3,357,613	3,197,930	91,200	3,580,284	-	**15,239,482**
4	სსიპ - საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო	-	-	-	-	-	-	14,000	3,600	**17,600**
ჯამი:		**550,054**	**3,091,478**	**3,804,325**	**4,563,700**	**4,709,409**	**1,592,017**	**5,676,791**	**1,797,733**	***25,785,507***

დანართი #5 (განცხადების ნიმუში -1)

თარიღი: რიცხვი/თვე/წელი

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

განცხადება

(საჯარო ინფორმაციის მიღების მოთხოვნით)

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, 38-ე და მე-40 მუხლების საფუძველზე, გთხოვთ მოგვაწოდოთ:

1. საქართველოს მთავრობის მიერ გრანტის გამცემად განსაზღვრული საჯარო სამართლის იურიდიული პირების ჩამონათვალი.
2. საქართველოს სამინისტროებიდან, საქართველოს მთავრობაში შემოსული დოკუმენტები, სამინისტროების მიერ გრანტის გაცემის შესახებ და მასთან დაკავშირებით მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები (201-- წლიდან დღემდე).
3. საქართველოს სამინისტროებიდან, საქართველოს მთავრობაში შემოსული დოკუმენტები, სამინისტროების მიერ გრანტის გაცემის შესახებ და მასთან დაკავშირებით საქართველოს პრემიერ მინისტრის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები (201-- წლიდან დღემდე).

აღნიშნული ინფორმაცია გთხოვთ მომაწოდოთ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებში. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის თანახმად გთხოვთ ის ინფორმაცია, რომელიც იწარმოება ელექტრონულად ან/და შესაძლებელია მისი ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა, მომაწოდოთ ელექტრონული დოკუმენტის სახით შემდეგ მისამართზე - (მიუთითეთ თქვენი ელფოსტა), ხოლო დანარჩენი ინფორმაცია ქსეროასლის სახით. გაცნობებთ, რომ მზად ვარ გადავიხადო „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოსაკრებელი.

პატივისცემით,

სახელი, გვარი

პირადი ნომერი
საკონტაქტო ნომერი/ტელეფონი

დანართი #6 (განცხადების ნიმუში - 2)

თარიღი: რიცხვი/თვე/წელი

საჯარო დაწესებულების სახელი

განცხადება

(საჯარო ინფორმაციის მიღების მოთხოვნით)

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, 38-ე და მე-40 მუხლების საფუძველზე, გთხოვთ მოგვაწოდოთ:

1. გრანტის გაცემის წესი
2. გრანტთან დაკავშირებით მიღებული ბრძანება (არსებობის შემთხვევაში) (თითოეულ გამოცხადებულ გრანტზე ცალ-ცალკე)
3. X წლის საგრანტო პროგრამა და პროგრამაში წერილის მიღების მომენტამდე შეტანილი ცვლილებები (არსებობის შემთხვევაში)
4. რიცხვი/თვე/წელი-დან რიცხვი/თვე/წელი-მდე გაცემული გრანტების რაოდენობა
5. რიცხვი/თვე/წელი-დან რიცხვი/თვე/წელი-მდე გაცემული გრანტების ღირებულება ლარში (ინდივიდუალურ გრანტზე ცალ-ცალკე) და გრანტის მიმღების დასახელება (ინდივიდუალურ გრანტზე ცალ-ცალკე)
6. სამართლებრივი აქტი საგრანტო პროგრამის ადმინისტრირებისთვის შექმნილი ორგანოს (საბჭო/კომისია) დაფუძნების შესახებ
7. საგრანტო პროგრამის ადმინისტრირებისთვის შექმნილი ორგანოს (საბჭო/კომისია) სხდომის ოქმები
8. გრანტის გაცემის/საგრანტო კონკურსის ოფიციალური განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია და შეფასების კრიტერიუმები (თითოეულ გამოცხადებულ გრანტზე/კონკურსზე ცალ-ცალკე)
9. საკომუნიკაციო საშუალებების ჩამონათვალი, რა გზითაც გავრცელდა ინფორმაცია კონკურსის ოფიციალური გაანცხადი (თითოეულ გამოცხადებულ გრანტზე/კონკურსზე ცალ-ცალკე)
10. გრანტის შემფასებელი ორგანოს (კომისია/საბჭო) დაკომპლექტებასთან დაკავშირებით მიღებული სამართლებრივი აქტი (თითოეულ გამოცხადებულ გრანტზე/კონკურსზე ცალ-ცალკე)
11. გრანტის შემფასებელი ორგანოს (კომისია/საბჭო) სხდომების ოქმები (თითოეულ გამოცხადებულ გრანტზე/კონკურსზე ცალ-ცალკე)
12. გრანტის შემფასებელი ორგანოს (კომისია/საბჭო) მიერ კონკურსანტების შეფასების დამადასტურებელი დოკუმენტაცია
13. რიცხვი/თვე/წელი-დან რიცხვი/თვე/წელი-მდე გამოცხადებული კონკურსების პროცედურებთან და მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული საჩივრები - საჩივრის ტექსტი, მხარეთა არგუმენტაცია, დავების განმხილველი

ორგანოს დასკვნა (თითოეულ გამოცხადებულ გრანტზე/კონკურსზე ცალ-ცალკე)

14. რიცხვი/თვე/წელი-დან რიცხვი/თვე/წელი-მდე გაცემული გრანტების მიმღებთან დადებული საგრანტო ხელშეკრულება (თითოეულ გაცემულ გრანტზე ცალ-ცალკე)
15. რიცხვი/თვე/წელი-დან რიცხვი/თვე/წელი-მდე გაცემული გრანტების მიმღების მიერ ჩაბარებული შესრულების ანგარიშები - ფინანსური და პროგრამული (შუალედური და საბოლოო) (თითოეულ გაცემულ გრანტზე ცალ-ცალკე)
16. რიცხვი/თვე/წელი-დან რიცხვი/თვე/წელი-მდე გაცემული გრანტების აუდიტი და დასკვნა (თითოეულ გაცემულ გრანტზე ცალ-ცალკე)
17. რიცხვი/თვე/წელი-დან რიცხვი/თვე/წელი-მდე გაცემული გრანტების განხორციელების მონიტორინგის მეთოდოლოგია (თითოეულ გაცემულ გრანტზე ცალ-ცალკე)
18. რიცხვი/თვე/წელი-დან რიცხვი/თვე/წელი-მდე გაცემული გრანტების განხორციელების მონიტორინგის დასკვნები (თითოეულ გაცემულ გრანტზე ცალ-ცალკე)
19. რიცხვი/თვე/წელი-დან რიცხვი/თვე/წელი-მდე გაცემული გრანტების დაფინანსების ცვლილების ან შეწყვეტის დამადასტურებელი დოკუმენტები და შესაბამისი გადაწყვეტილებები (თითოეულ გაცემულ გრანტზე ცალ-ცალკე)
20. რიცხვი/თვე/წელი-დან რიცხვი/თვე/წელი-მდე გაცემული გრანტების ეფექტიანობის შეფასების დოკუმენტი (თითოეულ გაცემულ გრანტზე ცალ-ცალკე)
21. საგრანტოს პროგრამის შეფასების დამადასტურებელი დოკუმენტი

აღნიშნული ინფორმაცია გთხოვთ მომაწოდოთ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებში. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის თანახმად გთხოვთ ის ინფორმაცია, რომელიც იწარმოება ელექტრონულად ან/და შესაძლებელია მისი ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა, მომაწოდოთ ელექტრონული დოკუმენტის სახით შემდეგ მისამართზე - (მიუთითეთ თქვენი ელფოსტა), ხოლო დანარჩენი ინფორმაცია ქსეროასლის სახით. გაცნობებთ, რომ მზად ვარ გადავიხადო „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოსაკრებელი.

პატივისცემით,

სახელი, გვარი

პირადი ნომერი
საკონტაქტო ნომერი/ტელეფონი

დანართი #7 (გასაცემი გრანტების დაგეგმვის ეტაპი)

1. გასაცემი გრანტების დაგეგმვა

დანართი #8 (გრანტების გაცემის ეტაპი)

2. გრანტის გაცემის პროცესი



დანართი #9 (გრანტების მონიტორინგის და შეფასების ეტაპი)

3. გრანტების მონიტორინგი და შეფასება



დანართი #10 (ანგარიშის ფორმა)

ანგარიშის ფორმა

წინამდებარე ანგარიშის ფორმა ზოგადი ხასიათისაა და მონიტორინგის განმახორციელებელ პირს დაეხმარება საქმიანობის განხორციელებაში. აღნიშნული ფორმა მოიცავს მითითებებს მონიტორინგის ანგარიშის სტრუქტურაზე და შინაარსზე.

ანგარიშის ფორმაში გათვალისწინებულია სახელმწიფო გრანტების მონიტორინგის პროცესისთვის საჭირო ყველა ძირითადი შეკითხვა, თუმცა საბოლოო ანგარიში დამოკიდებულია მონიტორინგის მიზნობრიობაზე და მასშტაბზე. შესაბამისად, აღნიშნულ ანგარიშის ფორმას შესაძლოა დაემატოს ან მოაკლდეს შეკითხვები და შინაარსობრივი ნაწილები მონიტორინგის მიზნობრიობიდან გამომდინარე.

ანგარიში სასურველია მოიცავდეს შემდეგ ქვეთავებს:

1. შესავალი
მიმოიხილეთ მონიტორინგის მიზანი, სტრუქტურა და საკითხები, რომელსაც ანგარიში ეხება.

2. ძირითადი მიგნებები
აღწერეთ ყველაზე მნიშვნელოვანი ტენდენციები, გამოწვევები ან თავისებურებები, რაც სახელმწიფო გრანტების გაცემის თითოეული ეტაპის მონიტორინგისას დაფიქსირდა.

3. სახელმწიფო გრანტების შესახებ ზოგადი მონაცემები

ანგარიშის ეს ნაწილი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას შემდეგ საკითხებზე:

3.1. გრანტის გაცემის ჩარჩო საკანონმდებლო ბაზა	✓/✗
მოკლედ აღწერეთ მონიტორინგის განხორციელების დროისთვის რა სამართლებრივი აქტები განსაზღვრავს საჯარო ინსტიტუციების მიერ გრანტის გაცემასთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს და მიმართულებებს (მსგავსად მონიტორინგის სახელმძღვანელოს მე-2 თავისა). *გარდა ამისა, ანგარიშს დანართის სახით უნდა ახლდეს გრანტის გაცემის მოქმედი სამართლებრივი ბაზის სია (მსგავსად მონიტორინგის სახელმძღვანელოს N1 დანართისა).*	
3.2. სახელმწიფო გრანტების გამცემი ინსტიტუტების რაოდენობა?	✓/✗
მიუთითეთ მონიტორინგის განხორციელების დროისთვის, რამდენი და რომელი საჯარო ინსტიტუციები გასცემენ სახელმწიფო გრანტებს. *ანგარიშს დანართის სახით უნდა ახლდეს გრანტის გამცემი საჯარო ინსტიტუციების სია და მათი საგრანტო მიმართულებები.*	
3.3. გაცემული გრანტების შესახებ ჯამური ინფორმაცია	✓/✗
ამ ნაწილში უნდა მიეთითოს შემაჯამებელი ზოგადი აღწერა საჯარო ინსტიტუციების მიერ ჯამურად და წლების მიხედვით გაცემული გრანტების ოდენობების, დაფინანსებული პროექტების, მიმართულებებისა და დაფინანსებული სუბიექტების რაოდენობის შესახებ. ხოლო ანგარიშს დანართის სახით უნდა ახლდეს შესაბამისი სია (ნიმუშად იხილეთ დანართი N10.1)	
3.4. ინფორმაცია ცალკეული სახელმწიფო ინსტიტუციის მიერ გაცემული გრანტების შესახებ ?	✓/✗
ამ ნაწილში უნდა მიეთითოს შემაჯამებელი ზოგადი აღწერა ცალკეული საჯარო ინსტიტუციის მიერ ჯამურად და წლების მიხედვით გაცემული გრანტების ოდენობების, დაფინანსებული პროექტების, მიმართულებებისა და დაფინანსებული სუბიექტების რაოდენობის შესახებ. ხოლო ანგარიშს დანართის სახით უნდა ახლდეს შესაბამისი სია (ნიმუშად იხილეთ დანართი N10.2) *გარდა ამისა მონიტორინგის მიზნობრიობიდან გამომდინარე, ანგარიშს შეიძლება ახლდეს სია, რომელშიც დეტალურად იქნება მოცემული ინფორმაცია გაცემული თითოეული საგრანტო დაფინანსების შესახებ (გრანტის მიმღები, დაფინანსების მიზნობრიობა, დაფინანსებული პროექტი, დაფინანსების ოდენობა და პროექტის ხანგრძლივობა). ნიმუშად იხილეთ დანართი N10.3*	

4. სახელმწიფო გრანტების გაცემისა და შეფასების მონიტორინგის შედეგები ცალკეული ეტაპების მიხედვით[28]

4.1. გასაცემი გრანტების დაგეგმვა - საგრანტო პროგრამების შექმნა

ამ ეტაპის შესაფასებლად, გრანტის გამცემი ნებისმიერი სახელმწიფო ინსტიტუციის შემთხვევაში შეგიძლიათ აღრიცხოთ და უპასუხოთ შემდეგ კითხვებს:

4.1.1. ითვალისწინებს თუ არა გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი საგრანტო პროგრამის შექმნის ვალდებულებას?	✓/✗
კომენტარი:	
4.1.2. არსებობს თუ არა საგრანტო პროგრამა და რა ფორმით არის საგრანტო პროგრამა დამტკიცებული (ცალკე დამტკიცებული ერთიანი სტრუქტურირებული პროგრამაა, თუ სხვა ფორმით არის განსაზღვრული მიმართულებები და თემატიკა)?	✓/✗
კომენტარი:	
4.1.3. შეესაბამება თუ არა საგრანტო პროგრამა საჯარო ინსტიტუციის მიზნებს ან/და შესაბამისი დონის ბიუჯეტით შესაბამისი ინსტიტუციისთვის გამოყოფილი ასიგნებების მიზნობრიობას?	✓/✗
კომენტარი:	
4.1.4. დაცული იყო თუ არა საგრანტო პროგრამის შექმნისას (შემუშავება და დამტკიცება) გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული წესები?	✓/✗
კომენტარი:	
4.1.5. დაფუძნებულია თუ არა საგრანტო პროგრამა საჯარო ინსტიტუციის კომპეტენციის სფეროში აქტუალური და საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრის საჭიროებებსა და ემპირიულ კვლევაზე?	✓/✗
კომენტარი:	
4.1.6. ჩართულები იყვნენ თუ არა სხვადასხვა დაინტერესებული პირები საგრანტო პროგრამის შემუშავების პროცესში?	✓/✗
კომენტარი:	

იმ შემთხვევაში, თუ ცალკეულ კითხვებზე პასუხი ვერ მოიპოვეთ, აუცილებლად ახსენეთ. განსაკუთრებით თუ ამის მიზეზი გრანტის გამცემი საჯარო დაწესებულების ნაკლები გახსნილობა და მზაობაა, მოგაწოდოთ სასურველი ინფორმაცია.

კითხვებში ნახსენები ცალკეული საკითხისა და საჯარო ინსტიტუციის შესახებ გამოვლენილი ტენდენციების აღწერასთან ერთად, შეაჯამეთ, ამ ეტაპზე რომელი ქმედება

[28] IV თავიდან ანგარიში შეიძლება აეწყოს როგორც გრანტის გაცემისა და შეფასების ეტაპების, ასევე გრანტის გამცემი საჯარო ინსტიტუციის მიხედვით. აღნიშნული წინასწარ უნდა განისაზღვროს, მონიტორინგის მიზნობრიობიდან გამომდინარე.

საერთოდ ან არასრულად ხორციელდება ინსტიტუციის მიერ. ასევე, ახსენეთ, რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი: მსგავსი საკითხების დარეგულირების ნაკლებობა თუ მათი პრაქტიკაში არასრულყოფილი აღსრულება.

4.2. გრანტების გაცემის დაგეგმვა

ამ ეტაპის მონიტორინგისას სასურველია აღრიცხოთ და მიმოიხილოთ შემდეგი საკითხები:

4.2.1. ითვალისწინებს თუ არა გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი საგრანტო პროგრამის ადმინისტრირებისთვის სპეციალურო ორგანოს (საბჭო/კომისია) შექმნის ვალდებულებას?	✓/✗
კომენტარი:	
4.2.2. შეიქმნა თუ არა საგრანტო პროგრამის ადმინისტრირებისთვის ორგანო (საბჭო/კომისია)?	✓/✗
კომენტარი:	
4.2.3. შეიქმნა თუ არა საგრანტო პროგრამის ადმინისტრირებისთვის ორგანო (საბჭო/კომისია) გრანტების გაცემის სამართლებრივი აქტით დადგენილი წესების შესაბამისად?	✓/✗
კომენტარი:	
4.2.4. ითვალისწინებს თუ არა გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი საგრანტო განაცხადისადმი წასაყენებელი მოთხოვნების, წარსადგენი დოკუმენტების და მისი განხილვის პროცედურების შემუშავებას?	✓/✗
კომენტარი:	
4.2.5. განისაზღვრა თუ არა საგრანტო განაცხადისადმი წაყენებული მოთხოვნები, წარსადგენი დოკუმენტები და მისი განხილვის პროცედურები?	✓/✗
კომენტარი:	
4.2.6. განისაზღვრა თუ არა საგრანტო განაცხადისადმი წაყენებული მოთხოვნები, წარსადგენი დოკუმენტები და მისი განხილვის პროცედურები?	✓/✗
კომენტარი:	
4.2.7. შეიქმნა თუ არა საპროექტო განაცხადების შეფასების კრიტერიუმები წინასწარ?	✓/✗
კომენტარი:	
4.2.8. განისაზღვრა თუ არა საგრანტო კონკურსის გამოცხადების და გამჭვირვალობის კომპონენტი წინასწარ - რა ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს წინასწარ (განცხადება, წაყენებული მოთხოვნები, შეფასების კრიტერიუმები და სხვა)? რა გზით უნდა გავრცელდეს ინფორმაცია (გრანტის გამცემის ვებგვერდი, სოციალური ქსელები, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა და სხვა)?	✓/✗
კომენტარი:	
4.2.9. განისაზღვრა თუ არა საგრანტო გადაწყვეტილებების გამოქვეყნების საკითხები წინასწარ?	✓/✗
კომენტარი:	

ამ საკითხებისა და გამოვლენილი ტენდენციების აღწერასთან ერთად, შეაჯამეთ, ამ ეტაპზე რომელი ქმედება საერთოდ ან ნაწილობრივ ხორციელდება საჯარო ინსტიტუციის მიერ. ასევე, ახსენეთ, რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი: მსგავსი საკითხების დარეგულირების ნაკლებობა თუ მათი პრაქტიკაში არასრულყოფილი აღსრულება.

4.3. გრანტების გაცემის პროცესი

4.3.1. საგრანტო კონკურსის გამოცხადება

გრანტის გამცემი ცალკეული საჯარო ინსტიტუციის შეფასებისას, იხელმძღვანელეთ შემდეგი კითხვებით:

4.3.1.1. ითვალისწინებს თუ არა გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი გრანტის გამოცხადების პროცედურებსა და ფორმებს?	✓/✗
კომენტარი:	
4.3.1.2. საგრანტო კონკურსის შესახებ ინფორმაციის გავრცელების რა საშუალებას ითვალისწინებს გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი (ვებგვერდი, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა, სოციალური ქსელი და სხვა)?	✓/✗
კომენტარი:	
4.3.1.3 რა საშუალებით გავრცელდა ინფორმაცია საგრანტო კონკურსის შესახებ? (ვებგვერდი, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა, სოციალური ქსელები, მედია საშუალებები (ტრადიციული და ონლაინ), განცხადება და ა.შ.)?	✓/✗
კომენტარი:	
4.3.1.4. კონკურსის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია რამდენად იყო ამომწურავი და რამდენად ხელმისაწვდომი იყო ყველა საჭირო დოკუმენტაცია? (განაცხადის ფორმა, კონკურსანტების მიმართ წაყენებული მოთხოვნები, წარსადგენი დოკუმენტები, განაცხადების შეფასების კრიტერიუმები, გადაწყვეტილებების მიღების პროცედურები, გასაჩივრების პროცედურები)	✓/✗
კომენტარი:	
4.3.1.5. ითვალისწინებს თუ არა გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი განაცხადების წარდგენის მინიმალურ ვადებს?	✓/✗
კომენტარი:	
4.3.1.6. წინასწარ დადგინდა თუ არა საკონკურსო განაცხადის/დოკუმენტების წარდგენისთვის ვადა და რა ვადა მიეცათ კონკურსანტებს განაცხადის წარსადგენად?	✓/✗
კომენტარი:	
4.3.1.7. საკონკურსო განაცხადების და დოკუმენტების გრანტის გამცემისთვის წარდგენის რა საშუალებებს ითვალისწინებს გრანტის გაცემის შესახებ სამართლებრივი აქტი (ელ-ფოსტა, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა და სხვა)? და როგორია მისი პრაქტიკა?	✓/✗

კომენტარი:	
4.3.1.8. დამატებითი კითხვების შემთხვევაში, ინსტიტუცია კონსულტაციის რა გზებს სთავაზობდა დაინტერესებულ პირებს? (ელ-ფოსტაზე მიწერა, საკონსულტაციო საათები და ა.შ.)	✓/✗
კომენტარი:	

ამ საკითხებისა და გამოვლენილი ტენდენციების აღწერასთან ერთად, შეაჯამეთ, ამ ეტაპზე რომელი ქმედება საერთოდ ან ნაწილობრივ ხორციელდება საჯარო ინსტიტუციის მიერ. ასევე, ახსენეთ, რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი: მსგავსი საკითხების დარეგულირების ნაკლებობა თუ მათი პრაქტიკაში არასრულყოფილი აღსრულება.

4.3.2.1. შემფასებელი ორგანოს (საბჭო/კომისია) ფორმირება

გრანტის გამცემი ცალკეული საჯარო ინსტიტუციის შეფასებისას, შეგიძლიათ იხელმძღვანელოთ შემდეგი კითხვებით:

4.3.2.1. ითვალისწინებს თუ არა გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი შემფასებელი ორგანოს (კომისია/საბჭო) ფორმირების საკითხს?	✓/✗
კომენტარი:	
4.3.2.2. შემფასებელი ორგანოს (კომისია/საბჭო) ფორმირების დროს, რამდენად იყო დაცული შესაბამისი სამართლებრივი აქტით/გრანტის გაცემის წესით გათვალისწინებული მოთხოვნები?	✓/✗
კომენტარი:	
4.3.2.3. რამდენად წარმომადგენლობითი ან კონკურსის თემატიკასთან შესაბამისი იყო შემფასებელი ორგანოს (კომისია/საბჭო) შემადგენლობა?	✓/✗
კომენტარი:	
4.3.2.4. გათვალისწინებულია თუ არა გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტით ინტერესთა კონფლიქტის საკითხი?	✓/✗
კომენტარი:	
4.3.2.5. ინტერესთა კონფლიქტის არსებობა - გათვალისწინებულია თუ არა ინტერესთა კონფლიქტის ცნება სახელმწიფო გრანტის გამცემის ნორმატიულ აქტში?	✓/✗
კომენტარი:	
4.3.2.6. ითვალისწინებს თუ არა გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი შემფასებელი ორგანოს (კომისია/საბჭო) მუშაობის საკითხს/პრინციპებს/წესებს?	✓/✗
კომენტარი:	

ამ საკითხებისა და გამოვლენილი ტენდენციების აღწერასთან ერთად, შეაჯამეთ, ამ ეტაპზე რომელი ქმედება საერთოდ ან ნაწილობრივ ხორციელდება საჯარო ინსტიტუციის მიერ.

ასევე, ახსენეთ, რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი: მსგავსი საკითხების დარეგულირების ნაკლებობა თუ მათი პრაქტიკაში არასრულყოფილი აღსრულება.

4.3.3. საგრანტო შეთავაზების შეფასება

ამ ეტაპის შეფასებისთვის შეგიძლიათ იხელმძღვანელოთ შემდეგი კითხვებით:

4.3.3.1. ითვალისწინებს თუ არა გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი ან გრანტის განაცხადი შეფასების კრიტერიუმებს ან მათი განსაზღვრის წესებს?	✓/✗
კომენტარი:	
4.3.3.2. წინასწარ დადგინდა თუ არა განაცხადების შეფასების კრიტერიუმები?	✓/✗
კომენტარი:	
4.3.3.3. სულ რამდენი საკონკურსო განაცხადი იქნა წარდგენილი? რამდენი განიხილეს? რამდენის განხილვაზე თქვეს უარი? რა იყო უარის მიზეზი?	✓/✗
კომენტარი:	
4.3.3.4. ითვალისწინებს თუ არა გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი წარდგენილ განაცხადში ხარვეზების შევსების/გამოსწორების წესებს?	✓/✗
კომენტარი:	
4.3.3.5. ითვალისწინებს თუ არა გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი საკონკურსო განაცხადების შეფასების პროცედურებს?	✓/✗
კომენტარი:	
4.3.3.6. შეფასებისას რამდენად იქნა დაცული სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული ყველა პროცედურა?	✓/✗
კომენტარი:	
4.3.3.7. გათვალისწინებული იყო თუ არა შეფასების ქულათა სისტემა? თუ არა, როგორ შეფასდა განაცხადები და როგორ გამოვლინდა გამარჯვებული?	✓/✗
კომენტარი:	

ამ საკითხებისა და გამოვლენილი ტენდენციების აღწერასთან ერთად, შეაჯამეთ, ამ ეტაპზე რომელი ქმედება საერთოდ ან ნაწილობრივ ხორციელდება საჯარო ინსტიტუციის მიერ. ასევე, ახსენეთ, რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი: მსგავსი საკითხების დარეგულირების ნაკლებობა თუ მათი პრაქტიკაში არასრულყოფილი აღსრულება.

4.3.4. საბოლოო გადაწყვეტილების მიღება

ამ ეტაპის შეფასებისას შეგიძლიათ იხელმძღვანელოთ შემდეგი კითხვებით:

4.3.4.1. ითვალისწინებს თუ არა გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესებს? როგორია გადაწყვეტილების მიღების წესი? ვინ იღებს გადაწყვეტილებას?	✓/✗
კომენტარი:	
4.3.4.2. რამდენად დადგენილი წესისა და კრიტერიუმების მიხედვით შეირჩა გამარჯვებული?	✓/✗
კომენტარი:	
4.3.4.3. ინტერესთა კონფლიქტი - იკვეთება თუ არა ინტერესთა შეუთავსებლობის შემთხვევები შემფასებელი ორგანოს წევრებსა და კონკურსანტ(ებ)ს შორის?	✓/✗
კომენტარი:	
4.3.4.4. ითვალისწინებს თუ არა გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი გამარჯვებულის შესახებ გადაწყვეტილების გამოქვეყნების ვალდებულებას?	✓/✗
კომენტარი:	
4.3.4.5. რამდენად გავრცელდა ინფორმაცია გამარჯვებულის შესახებ და კომუნიკაციის რა საშუალებებით?	✓/✗
კომენტარი:	
4.3.4.6. რამდენად ხელმისაწვდომი იყო გამარჯვებული პროექტის შესახებ ძირითადი დეტალები?	✓/✗
კომენტარი:	

ამ კითხვებზე დაყრდნობით, მიმოიხილეთ არსებული სამართლებრივი ჩარჩო, პრაქტიკაში მისი აღსრულება და გრანტების გაცემის პროცესის გამჭვირვალობა და ღიაობა.

4.3.5. გასაჩივრების მექანიზმები

გრანტის გამცემი საჯარო ინსტიტუციები შეგიძლიათ შეაფასოთ შემდეგი კითხვების საფუძველზე:

4.3.5.1. ითვალისწინებს თუ არა გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი კონკურსის შედეგების გასაჩივრების შიდა მექანიზმს?	✓/✗
კომენტარი:	
4.3.5.2. თუ ითვალისწინებს, გასაჩივრდა თუ არა კონკურსი, განიხილეს თუ არა საჩივარი და რა შედეგით დასრულდა განხილვა?	✓/✗
კომენტარი:	
4.3.5.3. ითვალისწინებს თუ არა გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი გასაჩივრების შედეგების გამოქვეყნების ვალდებულებას?	✓/✗
კომენტარი	
4.3.5.4. გამოქვეყნდა თუ არა გასაჩივრების შედეგები და რა საშუალებებით?	✓/✗
კომენტარი:	

ამ კითხვებზე დაყრდნობით, მიმოიხილეთ არსებული სამართლებრივი ჩარჩო საჯარო ინსტიტუციის მიხედვით, გამოყავით ძირითადი პრობლემები თუ ტენდენციები. ასევე, შეაფასეთ, რამდენად სრულდება არსებული რეგულაციები და რამდენად ფუნქციონირებს და გამოიყენება შიდა გასაჩივრების მექანიზმი.

4.4. გრანტების განხორციელების მონიტორინგი

4. 4.1. გაცემული გრანტების განხორციელების შეფასება

გრანტის გამცემი საჯარო ინსტიტუციის მხრიდან გრანტის განხორციელების ხარისხის შეფასებისთვის შემდეგი საკითხები გაითვალისწინეთ:

4.4.1.1. ითვალისწინებს თუ არა გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი გაცემული გრანტის მონიტორინგის ვალდებულებას და მონიტორინგის მექანიზმებს?	✓/✗
კომენტარი:	
4.4.1.2. ახორციელებს თუ არა გრანტის გამცემი საჯარო ინსტიტუცია გაცემული გრანტების მონიტორინგს?	✓/✗
კომენტარი:	
4.4.1.3. ითვალისწინებს თუ არა გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი გრანტის მიმღებთან ხელშეკრულების დადების ვალდებულებას? როგორია ამ მხრივ პრაქტიკა?	✓/✗
კომენტარი:	

4.4.1.4. განსაზღვრულია თუ არა საგრანტო ხელშეკრულებით მონიტორინგის ვალდებულება, მექანიზმები და შედეგების შეფასების სისტემა?	✓/✗
კომენტარი:	
4.4.1.5. ითვალისწინებდა თუ არა საგრანტო ხელშეკრულება პროგრამის/პროექტის შესრულების ფინანსური და პროგრამული ანგარიშგების მექანიზმებს - შუალედური და საბოლოო პროგრამული ანგარიშები, ფინანსური ანგარიში, აუდიტის დასკვნა?	✓/✗
კომენტარი:	
4.4.1.6. ითვალისწინებს თუ არა გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი ან/და საგრანტო ხელშეკრულება, გრანტის პირობების/ხელშეკრულების პირობების დარღვევისას, გრანტის მიმღების პასუხისმგებლობის საკითხს? და როგორია ამ მხრივ პრაქტიკა?	✓/✗
კომენტარი:	
4.4.1.7. ითვალისწინებს თუ არა გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი მონიტორინგის განხორციელების გეგმისა და მეთოდოლოგიის შემუშავების ვალდებულებას?	✓/✗
კომენტარი:	
4.4.1.8. ჰქონდა თუ არა გრანტის გამცემს შემუშავებული და დამტკიცებული გრანტის განხორციელების მონიტორინგის გეგმა და მეთოდოლოგია? რამდენად იყენებდა მონიტორინგის განხორციელების გეგმას და მეთოდოლოგიას?	✓/✗
კომენტარი:	
4.4.1.9. ითვალისწინებს თუ არა გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი გრანტის განხორციელების შესახებ ინფორმაციის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის მექანიზმებს?	✓/✗
კომენტარი:	
4.4.1.10. რამდენად ხელმისაწვდომი იყო ინფორმაცია პროექტის განხორციელების (მათ შორის ცვლილებების) შესახებ დაინტერესებული პირებისთვის? რა ფორმით იყო ხელმისაწვდომი ეს ინფორმაცია?	✓/✗
კომენტარი:	
4.4.1.11. შევიდა თუ არა ცვლილებები საგრანტო ხელშეკრულებაში, და რა იყო ამის მიზეზი?	✓/✗
კომენტარი:	

ამ კითხვების გათვალისწინებით, შეგიძლიათ შეაფასოთ, რამდენად კარგად რეგულირდება გრანტის განხორციელების მონიტორინგის საკითხები და სახელმწიფო რამდენად აკვირდება გრანტების წარმატებულ განხორციელებას. მონიტორინგის შედეგები ასახეთ ანგარიშში.

4.4.2. საგრანტო პროგრამის და გრანტების ეფექტიანობის შეფასება

ამ ეტაპის შეფასებისა და მასზე ანგარიშის დაწერისას, შეგიძლიათ იხელმძღვანლოთ შემდეგი კითხვებით:

4.4.2.1. ითვალისწინებს თუ არა გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი საგრანტო პროგრამის ეფექტიანობის შეფასებას? შეფასების მექანიზმებს?	✓/✗
კომენტარი:	
4.4.2.2. ითვალისწინებს თუ არა საგრანტო პროგრამა შეფასების ინდიკატორებს და შეფასების პროცესის განხორციელების საკითხებს?	✓/✗
კომენტარი:	
4.4.2.3. ითვალისწინებს თუ არა გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი გაცემული გრანტების ეფექტიანობის შეფასებას? ამ შეფასების მექანიზმებს?	✓/✗
კომენტარი:	
4.4.2.4. განსაზღვრულია თუ არა საგრანტო ხელშეკრულებით გრანტის ეფექტიანობის შეფასება და შესაბამისი შეფასების მექანიზმები? რა სიხშირით უნდა განხორციელდეს გრანტის ეფექტიანობის შეფასების განხორციელება?	✓/✗
კომენტარი:	
4.4.2.5 აფასებს თუ არა გრანტის გამცემი სახელმწიფო ინსტიტუცია რამდენად მიღწეული იქნა გრანტის წინასწარ განსაზღვრული მიზნები?	✓/✗
კომენტარი:	
4.4.2.6. აფასებს თუ არა გრანტის გამცემი სახელმწიფო ინსტიტუცია გრანტის შედეგების შესაბამისობას საგრანტო პროგრამის გაცხადებულ მიზნებთან?	✓/✗
კომენტარი:	
4.4.2.7. აფასებს თუ არა გრანტის გამცემი სახელმწიფო ინსტიტუცია გრანტის ბენეფიციართა კმაყოფილებას?	✓/✗
კომენტარი:	
4.4.2.8. ითვალისწინებს თუ არა გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი გრანტის პროგრამული და ფინანსური შეფასებების მეთოდოლოგიის შემუშავების ვალდებულებას? მსგავსი შეფასებების განხორციელებას? და როგორია ამ მხრივ პრაქტიკა?	✓/✗
კომენტარი:	
4.4.2.9. გაითვალისწინა თუ არა გრანტის გამცემმა გრანტის ეფექტიანობის შეფასების შედეგები ახალ საგრანტო პროგრამაში რეკომენდაციების სახით?	✓/✗
კომენტარი:	
4.4.2.10. ხელმისაწვდომია თუ არა გრანტების შეფასების შედეგები დაინტერესებული პირებისთვის?	✓/✗
კომენტარი:	
4.4.2.11. ხელმისაწვდომია თუ არა საგრანტო პროგრამის შეფასების შედეგები დაინტერესებული პირებისთვის?	✓/✗
კომენტარი:	

ანგარიშის ამ თავში უნდა აღწეროთ, რა ძირითადი ტენდენციები გამოიკვეთა გრანტების შედეგებისა და პროგრამის ეფექტიანობის შეფასების თვალსაზრისით. ასევე, ამ კითხვებზე პასუხების გაცემით, შეიძლება გამოიკვეთოს, სახელმწიფო გრანტის გამცემი დაწესებულება რამდენად სისტემურად უდგება გრანტების განხორციელების შედეგად დამდგარი ცვლილებების შეფასებას.

5. დასკვნები

შეაჯამეთ მონიტორინგის შედეგად გამოკვეთილი ძირითადი საკითხები, გამოწვევები და დადებითი ტენდენციები. საჭიროებისამებრ, დასკვნით ნაწილში გამოყავით მცირე რეკომენდაციები გრანტის გაცემისა და მართვის თითოეულ ეტაპზე. სასურველია, თუ შეძლებთ გამოკვეთოთ, გრანტების გაცემის პროცესის დახვეწაზე მუშობა ყველაზე მეტად რა მიმართულებით არის სასურველი.

დანართი #10.1

გაცემული გრანტების შესახებ ჯამური მონაცემები

N	გრანტის გამცემი საჯარო ინსტიტუცია	--- წელი			---- წელი			---- წელი			---- წელი			საერთო ჯამი		
		მიმღებების რაოდენობა	დაფინანსებული პროექტების საერთო	დაფინანსების საერთო ოდენობა	მიმღებების რაოდენობა	დაფინანსებული პროექტების საერთო რაოდენობა	დაფინანსების საერთო ოდენობა	მიმღებების რაოდენობა	დაფინანსებული პროექტების საერთო	დაფინანსების საერთო ოდენობა	მიმღებების რაოდენობა	დაფინანსებული პროექტების საერთო	დაფინანსების საერთო ოდენობა	მიმღებების რაოდენობა	დაფინანსებული პროექტების საერთო	დაფინანსების საერთო ოდენობა
1	მაგ: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო															
2	მაგ: სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი															
3	----------															
4																
ჯამი:																

დანართი #10.2

გაცემული გრანტების შესახებ ინფორმაცია ცელკეული გრანტის გამცემი საჯარო ინსტიტუციის მიხედვით

გრანტის გამცემი საჯარო ინსტიტუციის დასახელება:				
წელი	გრანტის მიმღებების რაოდენობა	დაფინანსებული პროექტების/გაცემული გრანტების საერთო რაოდენობა	გაცემული საგრანტო დაფინანსების საერთო ოდენობა	გაცემული დაფინანსებების ძირითადი მიმართულებების აღწერა
ჯამი:				

დანართი #10.3

გაცემული გრანტების შესახებ ინფორმაცია ცელკეული გრანტის მიმღებების მიხედვით

გრანტის გამცემი საჯარო ინსტიტუციის დასახელება: წელი:				
გრანტის მიმღების დასახელება და საიდენტიფიკაციო მონაცემები	დაფინანსებული პროექტის დასახელება	გაცემული დაფინანსებების მიზნობრიობა	გაცემული საგრანტო დაფინანსების ოდენობა	პროექტის ვადა

დანართი #11 (მონიტორინგის საკონტროლო ნუსხა)

მონიტორინგის განმახორციელებელი პირის საკონტროლო ნუსხა